ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში

წლიური ანგარიში, 2014

თბილისი, 2015

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორები:

თამარ ავალიანი
ნინო ცაგარეიშვილი

რედაქტორი:

ალეკო ცქიტიშვილი

თარგმნა:

ნინო ტლაშაძე
ნინო ცაგარეიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

<u>მისამართი:</u>
0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: http://www.humanrights.ge, http://www.hridc.org

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას, შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4
საკანონმდებლო ცვლილებები..... 5
- საკანონმდებლო ცვლილებები პატიმართა უფლებების მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებში 5
- ცვლილებები მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით 7
- ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 7
- მოწმედ დაკითხვის ახალი წესის გადავადება 9
- კამპანია „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით 9
- კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“..... 10
- საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 11
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით 12

პოლიციელთა მიერ მოქალაქეთა სავარაუდო ცემისა და მუქარის ფაქტები 12
ოჯახში ძალადობის ფაქტები და შსს–ს უმოქმედობა 16
შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოში ჩრდილოკავკასიელების სავარაუდო დევნის ფაქტები 18
ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულ ყოფილ პოლიტპატიმართა და სხვა პირთა საქმეებზე „საიდუმლო“ გრიფის არსებობის პრობლემა 19
პატრულ-ინსპექტორ იოსებ აბულაძის საქმე 19
დაწინაურებული მაღალჩინოსნები, რომლებიც ყოფილ პოლიტპატიმართა საქმეების გამოძიებაში მონაწილეობდნენ..... 20
მსჯავრდებულთა არასათანადო მოპყრობის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 21
მსჯავრდებულთა გარდაცვალების შემთხვევები 24
მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის განუსაზღვრელი ვადით გადადება - მსჯავრდებულთა პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი..... 25
პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამოძიება 25
იური ვაზაგაშვილის საქმე..... 27
თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავება 28
სავარაუდო პოლიტიკური განთავისუფლებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 29
- ნატო უსენაშვილის საქმე 30

ბინადრობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები 30
2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 31
სამართლიანი სასამართლოს უფლება/გახმაურებული საქმეები..... 33
შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 35
ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 37
რელიგიური უმცირესობები..... 38
ზეწოლა არასამთავრობო ორგანიზაციებზე..... 43
მედიის თავისუფლება..... 45
შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 47

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოაჩენს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას საქართველოში 2014 წელს და ასევე შეიცავს 2015 წლის დასაწყისის მოვლენებს. ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს. ანგარიში მოიცავს ძირითად ტენდენციებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორიც არის: სამართლიანი სასამართლოს უფლება, ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეები, საკანონმდებლო ცვლილებები, მსჯავრდებულთა მდგომარეობა, გათავისუფლებები სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით, სამართალდამცავი სტრუქტურები, შშმ პირთა მდგომარეობა, უმცირესობების მდგომარეობა, ქალთა უფლებები საქართველოში, მედიის თავისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ა.შ.

2014 წლის განმავლობაში გაგრძელდა რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ პირების უფლებების შელახვის ფაქტებზე არასათანადო რეაგირების ტენდენცია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. დაუსჯელი რჩება ამ ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფაქტები 2013-2014 წლების განმავლობაში, რითაც სახელმწიფო არღვევს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს უმცირესობათა სათანადო დაცვა და უსაფრთხოება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება დღემდე წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, გარემოში არსებული ბარიერები, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განწყობები, განათლებასა და რეაბილიტაციაზე წვდომის დაბალი ხარისხი - აღნიშნული დაბრკოლებები იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომელიც აბრკოლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში.

2014 წელს შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო ქალთა წინააღმდეგ განხორციელებულმა ძალადობამ. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების არასათანადო რეაგირება აღნიშნულ ფაქტებზე.

2014 წლის 9 დეკემბერს ეუთომ საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში წარმოადგინა, რამაც გამოავლინა მთელი რიგი ხარვეზები სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მხრივ ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებში.

მშვიდ გარემოში ჩაიარა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს, ძირითადად, ჰქონდა პროცედურული ხასიათი და გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არასათანადო მომზადებითა და კვალიფიკაციით.

2014 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მშვიდობიანი შეკრების დაშლის ან არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები. თუმცა, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როცა სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველეყოთ ოპოზიციური პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო შეხვედრებისა და ღონისძიებების მშვიდობიან და უსაფრთხო ვითარებაში წარმართვა და ძალადობის აღკვეთა.

2014 წელს დაფიქსირდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ჟურნალისტებზე სავარაუდო ზეწოლის ცალკეული შემთხვევები.

სახელმწიფოს წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, სამართალდამცავთა მიერ სავარაუდო გადაცდომების მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება, უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენების გადახედვა, პირადი ცხოვრების უფლების დაცვა, ოჯახში ძალადობის პრევენცია და წამების მსხვერპლი პატიმრების სამართლებრივი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია.

2014 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირდა პოლიციელთა მიერ მოქალაქეთა სავარაუდო ცემისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის ფაქტები.

დღემდე გამოწვევად რჩება ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულ ყოფილ პოლიტპატიმართა და სხვა პირთა საქმეებზე „საიდუმლო“ გრიფის არსებობა და მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმის შემუშავების განუსაზღვრელი ვადით გადადება.

2014 წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში - დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, შევიდა ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო და პატიმრობის კოდექსებში, მიღებულ იქნა „კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში იმპლემენტაცია.

საკანონმდებლო ცვლილებები

- <u>საკანონმდებლო ცვლილებები პატიმართა უფლებების მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებში</u>

2013 წლიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს პატიმრობის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. სამუშაო პროცესი წარიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. რეფორმების პროცესი 2014 წელსაც გაგრძელდა. ცვლილებების თანახმად, არსებითად შეიცვალა სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სისტემა.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 2014 წლის მაისის ცვლილებების მიხედვით, ციხის ინფრასტრუქტურის სრულად მოწესრიგების შემდეგ, საშიშროების რისკის მიხედვით, მსჯავრდებულები გადანაწილდებიან ოთხი სხვადასხვა ტიპის (დაბალი, ნახევრად ღია, დახურული და განსაკუთრებული) დაწესებულებაში. რისკების შეფასებასა და მათ მუდმივ გადაფასებას უზრუნველყოფს საამისოდ შექმნილი მულტიდისციპლინური გუნდი[1].

დაბალი რისკის დაწესებულებაში განთავსდებიან ყველაზე დაბალი საშიშროების მატარებელი მსჯავრდებულები, რომელთათვისაც სწავლა და შრომა სავალდებულო იქნება. ინფრასტრუქტურის სრულად მოწესრიგების შემდეგ, ისინი ისარგებლებენ ხანგრძლივი, ხანმოკლე პაემნებისა და სატელეფონო საუბრების გაზრდილი ოდენობით. რაც შეეხება

[1] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2332779

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებას, აქ განთავსდებიან განსაკუთრებული რისკის მატარებელი მსჯავრდებულები, რომლებიც ვერ ისარგებლებენ ხანგრძლივი პაემნითა და ვიდეოპაემნით, ფულადი გზავნილის გაგზავნისა და შრომითი უზრუნველყოფის უფლებით, ასევე, სასჯელაღსრულების დაწესებულების დროებით დატოვების უფლებით, გარდა ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევისა. მათ ექნებათ მინიმალური რაოდენობის სატელეფონო საუბრები და ხანმოკლე პაემნები.

პატიმრობის კოდექსით, სახელწოდება ეცვლება და სარეაბილიტაციო დაწესებულებად გარდაიქმნება არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულები არაერთი სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამით ისარგებლებენ, სასჯელის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.

ცვლილებების თანახმად, დაზუსტდა ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების წესები. დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ან სხვა პირთა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელოს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. კერძოდ, ელექტრონული მეთვალყურეობის ან/და აუდიო-ვიდეო ჩანაწერის განხორციელებისას, ადმინისტრაცია ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებულები/მსჯავრდებულები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პატიმრობის კოდექსის 2014 წლის მაისის ცვლილებების თანახმად, პატიმრების მიმართ სპეციალური საშუალებების რაოდენობა 12-მდე გაიზარდა[2] და დაემატა: დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი. კანონით, თითოეული ამ საშუალების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

პატიმრობის კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით, კანონქვემდებარე აქტების მომზადების მიზნით გამართულ შეხვედრებში, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა ცენტრი.[3] რეფორმების პროცესში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა ცენტრმა წარუდგინა მოსაზრებები პატიმრობის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ორგანიზაციის მოსაზრებები შეეხებოდა მსჯავრდებულთა მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენების წესს, მათ მიმართ დისციპლინური ღონისძიებების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურის შემუშავებას. ასევე, შეთავაზებულ იქნა მსჯავრდებულთა მიმართ წამახალისებელი ღონისძიებების დანერგვა, როგორიც არის: დამატებითი ხანგრძლივი პაემნის უფლება, დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება და სხვა. შენიშვნების დიდი ნაწილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაიზიარა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საერთო ჯამში, დადებითად შეაფასეს ცვლილებების შემუშავების პროცესში მათი ჩართულობა და მიღებული ცვლილებების ნაწილი. თუმცა, ზოგიერთი ცვლილება შეფასდა როგორც გარკვეული რისკის შემცველი. მნიშვნელოვანია, სპეციალური საშუალებების ჩამონათვალის გვერდით, საკანონმდებლო დონეზე ჩაიდოს გარანტიათა მთელი კომპლექსი, რათა პრაქტიკაში მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი მათი სწორი გამოყენება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, სპეციალური საშუალებების გამოყენება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მართალია, არ

[2] ცვილებამდე იყო სამი სპეციალური საშუალება
[3] იხ: http://topnews.mediamall.ge/?id=106763

ეწინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ ეს სტანდარტები აწესებენ მთელ რიგ დათქმებსა და შეზღუდვებს, რასაც სპეციალური საშუალებების გამოყენება უნდა დაექვემდებაროს[4].

- <u>ცვლილებები მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით</u>

2014 წლის 27 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანებულებით[5], დამტკიცდა შეწყალების ახალი წესი, რომელმაც არსებითად გააუმჯობესა მსჯავრდებულთა, განსაკუთრებით - უვადო მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა და რეალური გახადა მათთვის შეწყალების მექანიზმის გამოყენება.

ცვლილებებამდე მოქმედი შეწყალების დებულებით, უვადო მსჯავრდებულებს 25 წელი უნდა გაეტარებინათ საპატიმროში და შემდეგ ჰქონდათ უფლება, მიემართათ შეწყალების კომისიისთვის.

2014 წლის 27 მარტიდან მოქმედი შეწყალების წესის თანახმად, 15 წლის გასვლის შემდეგ უვადო მსჯავრდებულებს შეუძლიათ, შეწყალების თხოვნით მიმართონ შეწყალების კომისიას.

2014 წლის 27 მარტამდე მოქმედი წესით, მსჯავრდებულს თუკი ჰქონდა საპატიმრო და პირობითი მსჯავრი, მისი საქმე იკრიბებოდა და ითვლებოდა, რომ მას სასჯელის ნახევარი უნდა მოეხადა და ამის შემდეგ შეეძლო მიემართა შეწყალების კომისიისთვის. შეწყალების ახალი წესის თანახმად, როცა ერთად არსებობს ორი სასჯელი, კომისია მსჯელობს მხოლოდ საპატიმრო სასჯელიდან გამომდინარე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა.

2014 წლის 27 მარტის ცვლილებების თანახმად, აღიარება აღარ წარმოადგენს შეწყალების სავალდებულო კრიტერიუმს, მაგრამ იგი მხედველობაში მიიღება შეწყალების კომისიის მიერ. სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ მსჯავრდებულმა, რომელმაც დანაშაული არასრულწლოვნობის დროს ჩაიდინა და ახლა უკვე სრულწლოვანი აგრძელებს სასჯელის მოხდას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კომისია მის საქმეს განიხილავს, როგორც არასრულწლოვნისას.

2014 წლის 27 მარტის ცვლილებებამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საკუთარი მოსაზრებები გამოაქვეყნა მსჯავრდებულთა შეწყალების სამართლიანად განხორციელებასთან დაკავშირებით. ორგანიზაცია თვლიდა, რომ ნათლად უნდა გაიწერილიყო ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მოხდება მსჯავრდებულთა შეწყალება.[6]

ადამიანის უფლებათა ცენტრის განმარტებით, ცვლილებებამდე მოქმედი დებულება საჭიროებდა შეწყალების კრიტერიუმების გამარტივებას და უვადო მსჯავრდებულთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას.

- <u>ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში</u>

2014 წლის 1 სექტემბრიდან ძალადაკარგულად არის ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84–ე მუხლი, რომელიც მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენდა დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ნორმით, დაცვის მხარე

[4] იხ: https://gyla.ge/geo/news?info=1951

[5] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2299717

[6] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17310&lang=geo

უფლებამოსილი იყო, სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე წარედგინა ერთი ისეთი მტკიცებულება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, რაც არ იწვევდა ამ მტკიცებულების დაუშვებლობას. ადვოკატების განმარტებით, ბრალდების მხარესთან შედარებით ისინი არათანაბარ პირობებში არიან და შეჯიბრებითობის პრინციპი ირღვევა.[7]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჯერ კიდევ 2013 წლის 14 ივნისის ცვლილებებით, ბრალდებულს და მის ადვოკატს ეძლევათ საშუალება, მათი შუამდგომლობით ჩატარდეს ჩხრეკა და ამოღება[8].

2014 წლის 24 ივლისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები შევიდა საპროცესო გარიგებებთან დაკავშირებით. ცვლილებების შედეგად, საერთოდ გაუქმდა საპროცესო შეთანხმების ერთ–ერთი ფორმა, კერძოდ – სასჯელზე შეთანხმება. ცვლილებების თანახმად, პროკურორსა და ბრალდებულს შორის სასჯელზე შეთანხმება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ისინი ბრალზე შეთანხმდებიან.

ბრალდებულის უფლებებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია ცვლილება, რომლის თანახმადაც, სასამართლოს ვალდებულება ეკისრება, ბრალდებულს დეტალურად აუხსნას საპროცესო გარიგების შედეგები.

2014 წლის 24 ივლისის ცვილებების თანახმად, დაზარალებულს შეუძლია დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს. ამასთანავე, დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს სისხლის სამართლებრივ დევნაზე უარის ან დევნის შესახებ შეწყვეტის დადგენილება მას შემდეგ, რაც მოივლის ზემდგომ პროკურორს.[9] გასაჩივრების აღნიშნული მექანიზმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მძიმე დანაშაულის ბევრ საქმეზე, როგორიცაა, მაგალითად, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ამასთანავე, დაზარალებულს აქვს საშუალება, გამომძიებელმა მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მას აქვს გამომძიებელთან ვიზიტის უფლება, რათა ადგილზე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუკი ეს არ აზიანებს გამოძიების ინტერესს. თუ ჩაითვლება, რომ ეს გამოძიების ინტერესს აზიანებს, მიზეზის გამორიცხვისთანავე, ეს შესაძლებლობა განახლდება. რაც მთავარია, პროკურორს, სასამართლო დონეზე აქვს ვალდებულება, სასამართლოში საქმის წარგზავნისას დაზარალებულს გააცნოს საქმის მასალები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის დაცვას სისხლის სამართლის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე.

---

[7] იხ: http://www.batumelebi.ge/GE/batumelebi/news/35122/
[8] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1956658#DOCUMENT:1;
[9] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2434580

- <u>მოწმედ დაკითხვის ახალი წესის გადავადება</u>

2013 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ორი წლით, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადავადების თაობაზე იმ ფონზე, როცა ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მოწმის დაკითხვის ახალი წესი, რომელიც 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვრა და რომლის ამოქმედებაც რამდენჯერმე გადაიდო, ითვალიწინებს გამოძიების პროცესში მოწმეთა მხოლოდ სასამართლოს წინაშე დაკითხვას ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანდასწრებით. თავდაპირველად, ამ წესის ამოქმედება 2013 წლის 31 დეკემბრიდან იგეგმებოდა.

მოწმის დაკითხვის ამ წესის გადავადებას არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი მოჰყვა. კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ [10] განაცხადა, რომ მოწმის დაკითხვის ახალი წესის 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადავადება უარყოფით გავლენას მოახდენდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებაზე და მოუწოდა კანონპროექტის ინიციატორებს კანონპროექტის პარლამენტიდან გამოწვევისაკენ. სასამართლო ხელისუფლების კონტროლი მოწმესთან ურთიერთობის პროცესზე შეამცირებდა მოწმეზე ზეწოლის, მცდარი და იძულების ქვეშ მიცემული ჩვენების რისკს[11].

არასამთავრობო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ საქართველოში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მავნე პრაქტიკაზე, როცა სამართალდამცველები მოწმის დაკითხვისას ახორციელებენ მის დაშინებას, ზეწოლას და ჩვენების იძულებით ჩამორთმევას. მოწმის მხოლოდ სასამართლოზე დაკითხვა კი არსებითად უზრუნველყოფს მოწმის დაცულობას სისხლის სამართლის პროცესში.

- <u>კამპანია „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით</u>

2013 წლიდან კამპანიაში - „ეს შენ გეხება“ გაერთიანებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა[12] ერთობლივი ახალი კამპანია დაიწყეს იმ მექანიზმების შექმნის მიზნით, რომელიც შეზღუდავდა მთავრობის შესაძლებლობებს, ეწარმოებინა უკონტროლო ფარული მიყურადება, რომელიც არსებითად ხელყოფდა მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

კამპანიის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც დაეხმარებოდა ეფექტური მექანიზმების შემოღებას, რათა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან თვალთვალი სასამართლოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მოქცეულიყო. არასამთავრობო ორგანიზაციები წუხდნენ, რომ შსს–ს კვლავაც ჰქონდა ე.წ. შავი ყუთები მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიების სერვერებზე, რომელთა მეშვეობითაც, მას სისტემაზე პირდაპირი წვდომა გააჩნდა და შეეძლო, ერთდროულად ათასობით ნომრის მოსმენა განეხორციელებინა. საქართველოში სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ წლების განმავლობაში საგამოძიებო ორგანოები მოქალაქეებს უკანონოდ უსმენდნენ.[13]

---

[10] კოალიციაში შედის ოცდაათზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრიც, რომელიც ამავე კოალიციის მმართველი კომიტეტის ცხრაწევრიან შემადგენლობაშიც შედის.

[11] იხ: http://www.coalition.org.ge/article_files/206/Coalition_Statement_Dec_23_2013_2.pdf

[12] კამპანიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები არიან: ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „კონსტიტუციის 42–ე მუხლი“, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ლიბერალური აკადემია - თბილისი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი და სხვა.

[13] იხ: http://cp.ge/ge/statiacci.php?ID=11115;

2014 წლის აგვისტოს განხორციელებული ცვლილებებით ე.წ. მოსმენების გასაღები კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში დარჩა, პერსონალური დაცვის მონაცემთა ინსპექტორის კონტროლით და ზედამხედველობით. შსს–ს კვლავაც დარჩა შესაძლებლობა, ისევ განახორციელოს უკანონო მოსმენები თავისი შეხედულებისამებრ, ისე, რომ საქმის კურსში არ ჩააყენოს სასამართლო.

„ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ აქცია/ფოტო ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს

2014 წლის განმავლობაში, კამპანია „ეს შენ გეხებას“ მონაწილეებმა არაერთი საპროტესო აქცია გამართეს და მოსმენების გასაღების შსს–ში ყოფნა გააპროტესტეს.[14]

ამასთანავე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, შსს-ს მიერ დანიშნული „ოდეერები“[15], მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებში მუშაობენ, რაც შეუთავსებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და გამჭვირვალე მართვის პრინციპებთან. საბჭოთა კავშირის დროს „ოდეერებს“ სხვადასხვა უწყებებში უშიშროების სამინისტრო ნიშნავდა. ეს პრაქტიკა ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში შენარჩუნდა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდშიც გრძელდება[16].

- <u>კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“</u>

2014 წლის 2 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“[17]. კანონი უზრუნველყოფს დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის... შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და სხვა ნიშნების მიუხედავად. აღნიშნულმა კანონმა საბოლოო სახით მიღებამდე სერიოზული ცვლილებები განიცადა.

საქართველოს მთავრობამ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განსაზღვრა, რომელმაც კანონპროექტის მომზადების პროცესში არასამთავრობო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყო. იუსტიციის სამინისტროდან კანონპროექტის მიღების შემდეგ მთავრობამ მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რის შესახებაც არასამთავრობო სექტორმა მას შემდეგ შეიტყო, რაც კანონპროექტი პარლამენტში დარეგისტრირდა. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი განსხვავდებოდა იუსტიციის სამინისტროს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების[18] ჩართულობით მომზადებული კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიისაგან. თავდაპირველი ვერსია შეიცავდა

---

[14] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18038&lang=geo

[15] „ოდეერი“ წარმოადგენს საბჭოთა ტერმინის ჟარგონულ აბრევიატურას (ОДР – офицер действующего резерва).

[16] იხ: http://transparency.ge/blog/kidev-ertkhel-ushishroebis-sakitkhebshi-opitsrebis-shesakheb?page=3

[17] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687

[18] კანონპროექტის მომზადების პროცესში სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა ცენტრიც.

სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციის ჩამდენი პირების დაჯარიმების მექანიზმს - თანასწორობის ინსპექტორის ინსტიტუტს, რომელიც მოგვიანებით ამოღებულ იქნა კანონპროექტიდან. კანონის ბოლო ვერსიით, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას ახორციელებს დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე.

არსებობდა მოსაზრებაც, რომ თანასწორობის ინსპექტორისა და სახალხო დამცველის უფლებამოსილებების დუბლირება შეიძლებოდა მომხდარიყო, რაც პრაქტიკაში პრობლემებს შექმნიდა.

კანონის ერთ–ერთ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ სახალხო დამცველს შეუძლია, პროაქტიულადაც შეისწავლოს დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტები. ამასთანავე, კანონის დადებით მახასიათებელს განეკუთვნება დისკრიმინაციის, როგორც საზოგადოების პრობლემის ჭრილში დანახვა და სათანადო ღონისძიებების გატარების ვალდებულება. ამასთანავე, კანონი კრძალავს, როგორც პირდაპირ, ისე ირიბ დისკრიმინაციას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში გადაგზავნის შემდეგ, პირველ მუხლში განსაზღვრული დისკრიმინაციის ფორმები ყველაზე დიდი წინააღმდეგობის საგანი გახდა.

ზოგიერთი პარლამენტის წევრი და სამღვდელოების წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ კანონს არ დაეკონკრეტებინა დისკრიმინაციის ფორმები, განსაკუთრებული კონფლიქტი წარმოშვა ცნებებმა „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“, რომლებსაც ზოგიერთი სასულიერო პირი მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევდა და პარლამენტის წევრებს მოუწოდებდა, არ მიეღოთ კანონი.

მიუხედავად ვნებათაღელვისა, 2014 წლის 2 მაისს, პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებს ასახავს.

- <u>საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია</u>

2014 წლის აპრილის თვეში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014–2020 წლებისათვის. სტრატეგია ადამიანის უფლებების დაცვის ყველა სფეროში მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას ითვალისწინებს.

მის სტრატეგიულ მიმართულებებს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა, პროკურატურის ორგანოების რეფორმირება, სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის ხარისხის ამაღლება და გამოძიების ეფექტურობა, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირება და სხვა.

სტრატეგიის შემუშავებაში, სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, საკუთარი მოსაზრებები წარადგინა მთავრობის აპარატში ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით[19]. რეკომენდაციები შეეხებოდა სტრატეგიაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით პრობლემური სფეროების სათანადოდ გაწერას, დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი მექანიზის განსაზღვრას, უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენების გადახედვის მექანიზმის რეგლამენტირებას და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებას.

[19]იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17599&lang=geo

სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის მოსაზრებები მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმის შემუშავებისა და უკანონო განაჩენების გადახედვასთან დაკავშირებით, არ იქნა გაზიარებული.

- **<u>საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება[20] ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით</u>**

2015 წლის 22 იანვარს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოქალაქე ზურაბ მიქაძის სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებს[21].

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება[22].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით, გამამტყუნებელი განაჩენის მიღება და პირის ბრალდება უნდა მოხდეს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს. სხვა შემთხვევაში ჩნდება პირის უსაფუძვლო და თვითნებური ბრალდების რისკი. სასამართლოს აზრით, ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა და მისი გამოყენება შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესის თანახმად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

პოლიციელთა მიერ მოქალაქეთა სავარაუდო ცემისა და მუქარის ფაქტები

2014 წელს, ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართეს მოქალაქეებმა. მათი განმარტებით, ისინი იყვნენ პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაშია მოქალაქე ***<u>გიორგი ცომაიას საქმე.</u>*** ცომაიას განმარტებით, 2014 წლის 14 აგვისტოს, შუაღამისას, ვაკე–საბურთალოს რაიონული პოლიციის მე–2 განყოფილებაში იგი სცემა თერთმეტმა პოლიციელმა. მისივე ცნობით, პოლიციას დახმარებისათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართა და მორიგე პოლიციელს სთხოვა, დახმარებოდა წინა ნასამართლობის დროს პოლიციის მიერ ჩამორთმეული მობილური ტელეფონის დაბრუნებაში. როგორც ცომაია აცხადებს, დახმარების ნაცვლად, მას ათი წუთის განმავლობაში სცემდა თერთმეტი პოლიციელი. პოლიცია კი პირიქით - გიორგი ცომაიას იქით ედავება თავდასხმასა და შეურაცხყოფაში.

[20] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2714193

[21] იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–13 მუხლის მე–2 ნაწილი და 169–ე მუხლის პირველი ნაწილი.

[22] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76–ე მუხლი

გიორგი ცომაია ბრალდებულის სახით იმ ღამესვე – 14 აგვისტოს 02:05 საათზე დააკავეს და გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. სხეულის მძიმე დაზიანებების გამო, იმის შიშით, რომ დაკავებული არ გარდაცვლილიყო, დროებითი მოთავსების იზოლატორმა ფორმა #100–ის წარდგენამდე უარი განაცხადა გიორგი ცომაიას მიღებაზე.

2014 წლის 15 აგვიტოს, გიორგი ცომაიას წარედგინა ბრალდება, თითქოს მან განახორციელა პოლიციელზე თავდასხმა. საქმეში ასევე გაჩნდა ცივი იარაღი – დანა, რომელიც ბრალდებულს თან არ ჰქონია.

2014 წლის 16 აგვისტოდან იგი იმყოფება გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სასამართლოზე მის ინტერესებს იცავს ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, როგორც ცალკე[23], ისე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად[24] არაერთხელ გამართა პრესკონფერენცია გიორგი ცომაიას საქმესთან დაკავშირებით და მოითხოვა მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სასწრაფოდ გამოძიება და ყველა იმ პირის პასუხისგებაში მიცემა, რომელიც რაიმე ფორმით ჩართული იყო უკანონობაში.

2014 წლის 25 აგვისტოს ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს სახალხო დამცველს გიორგი ცომაიას საქმის შესწავლის თხოვნით მიმართა[25].

აგვისტოს თვეშივე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჩივრით მიმართა მთავარ პროკურატურას და მოითხოვა პოლიციელთა მიერ მოქალაქე გიორგი ცომაიას სავარაუდოო ცემის ფაქტის გამოძიება. მთავარმა პროკურატურამ გიორგი ცომაიას სავარაუდო ცემის საქმე გამოსაძიებლად გადაუგზავნა ვაკე – საბურთალოს რაიონულ პროკურატურას, რომელმაც გიორგი ცომაიას წაუყენა ბრალი პოლიციელის თავდასხმაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის არაერთი მიმართვის შედეგად, პოლიციის მუშაკების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება ჯერ ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში დაიწყო, ხოლო მოგვიანებით საქმე გადაეგზავნა თბილისის პროკურატურას, სადაც მიმდინარეობს გამოძიება.

Human Rights Watch–ის 2015 წლის მსოფლიო ანგარიშში სხვა საქმეებთან ერთად მოქალაქე გიორგი ცომაიას საქმეც შევიდა.[26] ანგარიშში ხაზი გაესვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი გადაცდომების გამოძიების არაეფექტური მექანიზმის არსებობას საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წაროებაშია მოქალაქე ***ლაშა შათირიშვილის საქმე.*** ლაშა შათირიშვილი 2013 წლის 24 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე–3 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. მას ბრალი დასდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით შენახვას გულისხმობს. მსჯავრდებულის ინფორმაციით, იგი დაკავების დროს პოლიციის

[23] იხ: http://primetimenews.ge/adamianis-uflebata-dacva-2/;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17863&lang=geo;
http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=981&lang=geo;
http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=950&lang=geo;
http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=949&lang=geo
[24] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17922&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main &pid=17956&lang=geo
[25] სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს გიორგი ცომაიას სავარაუდო ცემის ფაქტს
[26] იხ: http://www.hrw.org/sites/default/files/wr2015_web.pdf

თანამშრომლებმა სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ლაშა შათირიშვილის განმარტებით, მას ნარკოტიკული საშუალება პოლიციელებმა „ჩაუდეს“.

ლაშა შათირიშვილის საჩივრის შედეგად, გამოძიება მის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ცემის ფაქტზე 2014 წლის იანვარში დაიწყო, რომელიც მალევე, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2014 წლის 15 მარტის დადგენილებით შეწყდა.

2015 წლის იანვარში, მსჯავრდებულმა ლაშა შათირიშვილმა ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა.

2015 წლის 27 იანვარს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა ახსნა–განმარტება ჩამოართვა ლაშა შათირიშვილს გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც დამატებით მტკიცებულებებთან ერთად რეაგირებისათვის გადაეგზავნა პროკურატურის ორგანოებს. მიუხედავად ადამიანის უფლებათა ცენტრის არაერთი განცხადებისა, პროკურატურის ორგანოები დღემდე უარს ამბობენ მსჯავრდებულ ლაშა შათირიშვილის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ცემის ფაქტის გამოძიებაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წამოებაშია ყოფილი პატიმრის ***ზაზა აზარიაშვილის*** *საქმე.* 2013 წლის 2 დეკემბერს წამების მსხვერპლმა ყოფილმა პატიმარმა ზაზა აზარიაშვილმა, ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, საჩივარი შეიტანა მთავარ პროკურატურაში და მოითხოვა პატიმრობის დროს მის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტების გამოძიება. იგი ამხელდა გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ყოფილ დირექტორებს - თამაზ მელაძესა და ალექსანდრე მუხაძეს.

ამასთანავე, ზაზა აზარიაშვილი არის მთავარი მოწმე ყოფილ პოლიტპატიმარ ვახტანგ მაისაიას საქმეში, რომელიც ეხება ვახტანგ მაისაიას მიმართ განხორციელებულ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.

ზაზა აზარიაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ქ. თბილისის პროკურატურამ მისი და ვახტანგ მაისაიას წამების საქმეების გამოძიება დაიწყო, მასზე წყნეთის პოლიციის უფროსმა კონსტანტინე ფუხაურმა და მისმა მოადგილემ ზაალ ტაბატაძემ არაერთხელ განახორციელეს ზეწოლა, სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოსთხოვეს, პროკურატურიდან გამოეტანა საჩივარი. მისივე განმარტებით, 2014 წლის 27 იანვარს, საცხოვრებელ სახლში მიუვარდნენ ფუხაური და ტაბატაძე, რომელთაც მოსთხოვეს პროკურატურიდან საჩივრის გამოტანა და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2014 წლის 25 თებერვალს, წყნეთში, ფიროსმანის ქუჩაზე ზაზა აზარიაშვილს თავს დაესხნენ. როგორც ზაზა აზარიაშვილი განმარტავს, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ოთხმა პიროვნებამ უმოწყალოდ სცემეს. ისინი ცემის მიზეზად უსახელებდნენ თამაზ მელაძის წინააღმდეგ პროკურატურისათვის ჩვენების მიცემას.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, როგორც ცალკე, ისე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, არაერთხელ გამართა პრესკონფერენცია და მოუწოდა საგამოძიებო ორგანოებს, დროულად გამოიძიებინათ ზაზა აზარიაშვილის მიმართ განხორციელებული უკანონობის ფაქტები. ამავე დროს, გამოეყენებინათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა დაცული ყოფილიყო მისი უსაფრთხოება[27]. ზაზა აზარიაშვილის საქმის განხილვა დღემდე მიმდინარეობს თბილისის პროკურატურაში. მას ჯერ

[27] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17653&lang=geo; http://hridc.tv/index.php?a=view&id=904&lang=geo http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17647&lang=geo

კიდევ არა აქვს მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი. გამოძიება ყოფილი პატიმრის საქმეზე არაგონივრული ვადით ჭიანურდება.

*2015 წლის 9 მარტს, დაახლოებით 22:00 საათზე, გორის რაიონის სოფელ ვარიანში მცხოვრებ **ზუბაშვილებთან** შსს ვარიანის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები მივიდნენ და გენადი ზუბაშვილს პოლიციის განყოფილებაში გაყოლა მოსთხოვეს.*

გენადი ზუბაშვილის ინფორმაციით, პოლიციელები აგრესიულად შევიდნენ მის სახლში და უთხრეს, რომ განყოფილებაში გაყოლოდა. მან როცა იკითხა, რა დააშავა, უთხრეს, ადგილზე გავარკვევთ ყველაფერსო. გენადი ზუბაშვილი ბოძს ჩაეჭიდა, პოლიციელები კი იძულებთ ცდილობდნენ მის გადაყვანას. ამ დროს მან რამდენიმე დარტყმა იგრძენო წელის არეში, რის შემდეგაც პოლიციაში გადაიყვანეს[28].

პოლიციელთა მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველიც.

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება ***მოქალაქე ბ.რ-ს*** მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

ქუთაისის #2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ბრალდებულმა ბ.რ-მ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბარში განაცხადა, რომ 2014 წლის 20 ნოემბერს ბაღდათის რაიონის ერთ–ერთ სოფელში მეგობართან ყოფნისას დღის 12.00 საათზე შსს-ს ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და ტყეში წაიყვანეს, სადაც, როგორც ბ.რ. აცხადებს, პოლიციელები რამდენიმე ქურდობის ფაქტის აღიარების მიზნით, დაახლოებით 6 საათის განმავლობაში მასზე ფიზიკურ ზეწოლას ახორციელებდნენ. მოგვიანებით ის ბაღდათის რაიონულ სამმართველოში გადაიყვანეს დაკითხვაზე, რა დროსაც გამომძიებლები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ბაღდათის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული დოკუმენტების მიხედვით, ბ.რ–ს განთავსების მომენტისთვის აღენიშნებოდა: ექსკორიაციები მარჯვენა ყურზე და მუცლის მარჯვენა მხარეს, ასევე მცირე ზომის ჭრილობა ზედა ტუჩზე შიდა მხარეს. მისი განმარტებით, აღნიშნული დაზიანებები მიიღო დაკავებამდე ტყეში, ბაღდათის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ცემის შედეგად. დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებები დაფიქსირებულია ასევე, ექიმის მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შესახებ ცნობაში და ქუთაისის #2 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო დოკუმენტებშიც[29].

Human Rights Watch–ის 2015 წლის მსოფლიო ანგარიშის თანახმად, 2014 წელს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, 10 თვის განმავლობაში, სულ მცირე, 50 საჩივარი მიიღო. მათგან 31 პოლიციის, ხოლო 19 ციხის პერსონალის მხრიდან ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ეხებოდა. ორგანიზაციის განცხადებით, ხელისუფლება ვერ ახერხებს აღნიშნული საჩივრების ეფექტიანად გამოძიებას[30].

---

[28] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18183&lang=geo

[29] იხ:http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/sammartveloebi/regionuli-sammartvelo/siaxleebi-region/winadadeba-mtavar-prokurors-dakavebulis-mimart-savaraudo-arasatanado-mopyrobis-faqttan-dakavshirebit.page

[30] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18109&lang=geo; http://www.hrw.org/sites/default/files/wr2015_web.pdf

ოჯახში ძალადობის ფაქტები და შსს–ს უმოქმედობა

2014 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოში ოჯახური ძალადობის შესახებ 2007–2014 წლების სტატისტიკა გამოაქვეყნა[31]. სულ 2007–2014 წლების (იანვარ–ივნისი) პერიოდში დაფიქსირდა 1102 ძალადობის ფაქტი, მათში მონაწილე 2223 პირით. მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები – 1014, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 82–ს. აღნიშნულ პერიოდში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 1010 ქალი და 117 მამაკაცი. შსს–ს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ოჯახური ძალადობის სახეებიდან საქართველოში ჭარბობს ფიზიკური (47,2%) და ფსიქოლოგიური ძალადობა (42,8), ხოლო დანარჩენ ოჯახურ ძალადობებზე მთლიანად მოდის – 10%.[32]

აქცია-პერფორმანსი „ქალების ხმა"/ფოტო ეკუთვნის ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრს

2014 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ქალბატონების მკვლელობის ან თვითმკვლელობამდე მიყვანის შემთხვევები პიკს აღწევს:

2014 წლის 17 ოქტომბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფილმა ქმარმა ამავე უნივერსიტეტის ლექტორი მ.წ. მოკლა. ცოტა ხნის წინ ამნისტირებულმა ყოფილმა ქმარმა მას სამი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, თვითონ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

2014 წლის 15 მაისს კი ყოფილმა მეუღლემ 27 წლის ქალი და მისი შვილის დედა სასიკვდილოდ გაიმეტა. იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელ ს.-ს ქმარმა ცეცხლსასროლი იარაღიდან 24 ტყვია დაახალა, მისი ძმა კი დაჭრა. საზარელი მკვლელობა ვარკეთილში მოხდა. მსხვერპლი მეუღლესთან ორი თვის დაშორებული იყო. ყოფილი მეუღლე შერიგებას სთხოვდა, მაგრამ იგი შერიგების წინააღმდეგი იყო.

2014 წლის 22 მაისს მთელი საქართველო შეძრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩხამურის ტრაგედიამ. ქმარმა ცოლი - 8 შვილის დედა მოკლა. მეცხრე შვილზე ფეხმძიმე დედა

[31] იხ: სტატისტიკა: www.police.ge
[32] იქვე, 1–3

მცირეწლოვანმა შვილებმა საძინებელში ცულით ყელგამოჭრილი იპოვეს. მოგვიანებით პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ხეზე ჩამომხრჩვალი ნახა.

ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს 36 წლის ქალბატონი 2014 წლის 8 მარტს თბილისში. ყოფილმა მეუღლემ 2 შვილის დედას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ზუსტად 6 დღის შემდეგ თბილისში 25 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა ახალგაზრდა ქალბატონი გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაჭრა. ქალი გარდაიცვალა.

2014 წლის 22 აპრილს ჭავჭავაძის გამზირზე, ახალგაზრდა გოგონა დაჭრეს. 35 წლის ფ.ა.-მ ვაკეში ერთ-ერთი ბანკის წინ ყოფილ ცოლს ხანჯლით მრავალი დაზიანება მიაყენა. მიყენებული ჭრილობების შედეგად დაჭრილ ქალბატონს თითის ამპუტაცია ჩაუტარეს, მას დასერილი ჰქონდა ყური, ხელები და კეფა.

კახეთში 17 წლის გოგონამ თავი ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა. თვითმკვლელობის მიზეზად არასასურველი ქორწინება სახელდება. საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში თავი მოიკლა 30 წლის ქალმა, რომელიც სავარაუდოდ, ქმრის ღალატში ამხილეს. თვითმკვლელობას წინ ქმრის ნათესავების მიერ სახალხოდ დამცირება და ცემა უძღოდა. გავრცელებული ინფორმაციით, ქალბატონი საკუთარმა მამამ უმოწყალოდ სცემა[33].

Human Rights Watch–ის 2015 წლის მსოფლიო ანგარიშის თანახმად, 2014 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში, საქართველოში 23 ქალბატონია გარდაცვლილი, რაც სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა[34].

არასამთავრობო სექტორი ოჯახური ძალადობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის კუთხით შსს–ს საქმიანობას არაეფექტურად აფასებს[35]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს ოჯახური ძალადობის პრევენციის მრავალ მექანიზმს, შსს მათ ან არასრულად ან საერთოდ არ იყენებს. აღნიშნულ მექანიზმებს განეკუთვნება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ოჯახში დანაშაულის მუხლი და ადმინისტრაციული პროცედურები, რომელიც პოლიციის მხრიდან შემაკავებელი ორდერის გამოცემას გულისხმობს.

2014 წლის 9 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას პოლიციელთა მიერ ხელწერილების გამოყენების არაეფექტურობასთან დაკავშირებით მიმართა. წერილში აღწერილი იყო ორი შემთხვევა, როცა ძალადობის მაღალი რისკის მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელწერილი და გაფრთხილება[36].

---

[33] იხ:http://presa.ge/new/?m=society&AID=31471

[34] იხ: http://www.hrw.org/world-report/2015/country-chapters/georgia?page=2

[35] იხ:http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17998&lang=geo; http://www.netgazeti.ge/GE/105/law/32312/

[36] იხ: http://www.netgazeti.ge/GE/105/News/39998/

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოში ჩრდილოკავკასიელების სავარაუდო დევნის ფაქტები

არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ გამოხატეს შეშფოთება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოში ჩრდილოკავკასიელების დევნისა და გაუჩინარების ფაქტებზე და შესაბამის უწყებებს სათანადო რეაგირებისაკენ მოუწოდეს[37].

2013-2014 წლებში, განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქართველოს მოქალაქეობისა და ლტოლვილის სტატუსის მქონე ადამიანების შევიწროება, როცა აშკარად იკვეთება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების დარღვევები.

საქართველოს მოქალაქე *საიხან მუზაევმა* რამდენჯერმე სცადა საქართველოს დატოვება ინგლისში სასწავლებლად გასამგზავრებლად, მაგრამ მესაზღვრეებმა იგი საზღვარზე არ გაუშვეს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 22–ე მუხლით გარანტირებულია მოქალაქის თავისუფლად მიმოსვლის, მათ შორის ქვეყნის დატოვების უფლება. შინაგან საქმეთა სამინისტრო დღემდე უარს ამბობს განმარტოს ამ შეზღუდვის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები. შემაშფოთებელია, რომ შსს-მ განმარტება არც სახალხო დამცველის მოწოდების შემდეგ გააკეთა.

2012 წლიდან საქართველოდან გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა დაღესტნელი *მაგამედ მაგამედოვი*, რომელიც იმ დროისათვის საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას ელოდებოდა. მისი ნათესავების განცხადებით, მათ აქვთ დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ მაგამედოვი იმყოფება რუსეთის ერთ-ერთ ციხეში. ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი ადამიანი დაცულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით და მისი მოხვედრა იმ ქვეყანაში, სადაც საფრთხე ემუქრება, საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობაზე მეტყველებს. ამავე დროს, დღემდე გამოსაძიებელია და დასადგენია, მაგამედ მაგამედოვი რუსეთის ციხეში ხომ არ აღმოჩნდა საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურების არაფორმალური თანამშრომლობის შედეგად. გამოძიება ამ საკითხზე სდუმს.

არსებობს ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს, რუსეთის პროკურატურას გადასცეს დაღესტნელი სამოქალაქო აქტივისტი, 32 წლის *მიკაილ კადიევი.* საქართველოში კანონიერად მყოფი კადიევი შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა 2012 წლის დეკემბერში მოიტაცეს და საბუთები ჩამოართვეს. ეტაპირებისას კადიევმა გაქცევა მოახერხა[38]. 2013 წლის 13 ივნისს, თბილისში მიკაილ კადიევი ბიძაშვილთან *რიზვან ომაროვთან* ერთად უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით „ტერორისტული აქტების ჩადენის მცდელობის“ ბრალდებით დააკავეს. თუმცა, მოგვიანებით იგი სხვა მუხლით - იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შენახვისათვის გაასამართლეს.

დღეს მიკაილ კადიევი და რიზვან ომაროვი სასჯელს იხდიან გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2015 წლის მარტის თვეში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა კადიევისა და ომაროვის უფლებების დარღვევის ფაქტები გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

---

[37] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17649&lang=geo; http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17656&lang=geo

[38] იხ: http://gnnews.ge/?p=2018

ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულ ყოფილ პოლიტპატიმართა და სხვა პირთა საქმეებზე „საიდუმლო“ გრიფის არსებობის პრობლემა

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული, შემდეგ კი გათავისუფლებული ადამიანების საქმეებს ჯერ კიდევ გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ამ ადამიანებიდან ზოგს პოლიტიკური პატიმრის სტატუსი აქვს, ზოგი კი საპროცესო შეთანხმებით გათავისუფლდა და 2013 წელს მოეხსნა ნასამართლობა. ადამიანის უფლებათა ცენტრი ყველა ამ საქმეზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნასა და ხელახალ გამოძიებას ითხოვს, მაგრამ - უშედეგოდ.

ვახტანგ მაისაიამ სასჯელაღსრულების დაწესებულება პოლიტპატიმრის სტატუსით 2013 წლის 13 იანვარს დატოვა, მაგრამ მის საქმეს ჯერ კიდევ ადევს გრიფი „საიდუმლო“. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2014 წლის განმავლობაში არაერთხელ მიმართა შსს–ს მაისაიას საქმეზე გრიფის მოხსნის მოთხოვნით, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

გრიფი „საიდუმლო“ ადევს ასევე ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ და სკანდალურ *„ფოტორეპორტიორების“ საქმეს.* ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ფოტორეპორტიორები თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობის გამო იყვნენ დაპატიმრებულნი. ადამიანის უფლებათა ცენტრი პირველივე დღეებიდანვე მოითხოვდა მათი, როგორც სინდისის პატიმრების გათავისუფლებას. მართალია, ფოტორეპორტიორები სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ, მაგრამ ეს მოხდა მეტად უცნაური პირობებით, საპროცესო შეთანხმების ძალით და მათ სასჯელი მაინც მიესაჯათ. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ჯერ კიდევ 2012 წლის ივლისში (ფოტორეპორტიორების გათავისუფლებიდან ერთი წლის თავზე) მოითხოვა ფოტორეპორტიორების საქმეზე გრიფის „საიდუმლო“ მოხსნა, თუმცა უშედეგოდ[39].

გრიფი „საიდუმლო“ ადევს *სიმონ კილაძისა და ბაკურ კიღურაძის საქმეებსაც,* რომლებიც ასევე ჯაშუშობის მუხლით არიან გასამართლებული.

2014 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“ ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული ყოფილი პოლიტპატიმრების საქმეებზე; ამავე დროს, გაეთვალისწინებინა იმ ადამიანების საქმეების სპეციფიკაც, რომლებსაც მართალია, პოლიტპატიმრის სტატუსი არა აქვთ, მაგრამ მათ საქმეებში თვალნათლივ იკვეთება პოლიტიკური დევნის ნიშნები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ასევე მოუწოდებდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, გაეტარებინა შესაბამისი საკანონმდებლო ზომები ყოფილ პოლიტპატიმართა დროული და ეფექტური რეაბილიტაციისთვის[40].

პატრულ-ინსპექტორ იოსებ აბულაძის საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პატრულ-ინსპექტორის იოსებ აბულაძის სამართლებრივ ინტერესებს. მისი სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს დასაქმებულის მიმართ დევნისა და შევიწროების ნათელ მაგალითს.

---

[39] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15167&lang=geo

[40] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17876&lang=geo; http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18134&lang=geo

2014 წლის 19 ივნისს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებული ღონისძიებების გამო, თბილისში მეტეხის ხიდთან გზა ცალმხრივად იყო გადაკეტილი. აქ ღამის საათებში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა პატრულ-ინსპექტორი იოსებ აბულაძე. ამ დროს მან გააჩერა BMW-ს მარკის მანქანა, რომლის მძღოლიც ცდილობდა, გადაკეტილ ხიდზე თვითნებურად შესულიყო. მოქალაქემ პატრულ-ინსპექტორის მითითებას აგდებული ტონით უპასუხა, რაზეც პატრულისგან მიიღო შენიშვნა. აღნიშნული მოქალაქე აღმოჩნდა შსს-ს მაღალჩინოსნის, გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილის, ერეკლე ჭოხონელიძის მეგობარი. ჭოხონელიძე იმ დროს შარდენის ქუჩაზე იმყოფებოდა, სადაც ასევე მიდიოდა პატრულ-ინსპექტორის მიერ გაჩერებული მანქანის მძღოლი.

აბულაძის განმარტებით, შემთხვევიდან რამდენიმე დღეში იგი შსს-ში დაიბარა ერეკლე ჭოხონელიძემ და მოსთხოვა ახსნა განმარტება. ფაქტობრივად, მხოლოდ იმიტომ, რომ გადაკეტილ ქუჩაზე არ შეუშვა შსს-ს მაღალჩინოსნის მეგობარი, 30 ივლისს იოსებ აბულაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. მოგვიანებით კი, 16 სექტემბერს, იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო, რომ სიცხეში მოიხადა ქუდი და თავზე გადაისვა ხელი. ამასთანავე, მას ედავებიან „შესვლა-აკრძალულია“ ნიშნის ქვეშ მანქანის ჩასვლას, მაშინ როდესაც იმ დროს აკონტროლებდა მანქანების დგომა-გაჩერების ხუთწუთიან დროს.

2014 წლის 18 სექტემბერს, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლში არასამთავრობო ორგანიზაციებმა[41] იოსებ აბულაძის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების თემაზე პრესკონფერენცია გამართეს და მოუწოდეს შინაგან საქმეთა მინისტრს, შეისწავლოს აღნიშნული საქმე, გააუქმოს იოსებ აბულაძის გათავისუფლების ბრძანება და უკანონოდ გათავისუფლებული პატრულ-ინსპექტორი აღადგინოს სამსახურში[42].

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა იოსებ აბულაძის საქმე და მის მიმართ სასტიკი საყვედურიდ გამოცხადების ფაქტზე დარღვევა დაადგინა. ამასთანავე, 2014 წლის 9 დეკემბერს, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[43] მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, შეისწავლოს იოსებ აბულაძის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

დაწინაურებული მაღალჩინოსნები, რომლებიც ყოფილ პოლიტპატიმართა საქმეების გამოძიებაში მონაწილეობდნენ

2015 წლის 10 თებერვალს არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს[44] და შეშფოთება გამოთქვეს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში იმ პირთა დაწინაურების გამო, რომლებიც წარსულში მონაწილეობდნენ ყოფილი პოლიტპატიმრებისა და პოლიტიკურად მოტივირებული სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაში[45].

---

[41] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ და „საზოგადოებრივი დამცველი“

[42] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17883&lang=geo; http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1029&lang=geo; http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=968&lang=geo; http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=742&lang=geo

[43] იხ: რეკომენდაცია (N 04-5/14244; 09/12/2014)

[44] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „კონსტიტუციის 42-ე“ მუხლი და „საზოგადოებრივი დამცველი“

[45] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18131&lang=geo

ყოფილ პოლიტპატიმართა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული პირები დაწინაურებულები არიან მაღალ ინსტანციებში როგორც თავდაცვის, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროში.

პრესკონფერენციის შემდეგ, ვალერიან ზუმბაძემ და რობერტ გრიგალაშვილმა, არასამთავრობო ორგანიზაციათა მოთხოვნის საფუძველზე, დატოვეს თავდაცვის სამინისტროში დაკავებული მაღალი თანამდებობები. თუმცა, პრობლემად რჩება ის, რომ პროკურატურა არ რეაგირებს ყოფილი პოლიტპატიმრების საჩივრებზე.

მსჯავრდებულთა არასათანადო მოპყრობის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

<u>მსჯავრდებულ გიორგი ოგანეზოვის საქმე:</u> 2014 წლის აპრილის თვეში ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართა #7 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულმა გიორგი ოგანეზოვმა.

2014 წლის 28 მარტს პატიმარი გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოიყვანეს #7 დაწესებულებაში. მსჯავრდებულის ინფორმაციით, გადაყვანამდე, 28 მარტს, გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ნულოვან სართულზე იგი სცემეს რეჟიმის უფროსმა და სპეცრაზმის თანამშრომლებმა. მსჯავრდებულის განმარტებით, მისი ცემის მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ იგი პროტესტს გამოთქვამდა #8 დაწესებულებაში იმ თანამშრომლების მუშაობასთან დაკავშირებით, ვინც წლების განმავლობაში დაკავებული იყო პატიმართა ცემითა და წამებით. მსჯავრდებულს აღენიშნებოდა სხეულის დაზიანებები.

2014 წლის 22 აპრილს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა მსჯავრდებულ გიორგი ოგანეზოვის ცემის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენინსპექციას და მთავარ პროკურატურას. გამოძიება დაიწყო მსჯავრდებულის მიმართ ჩადენილი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. გამოძიება მიმდინარეობს მთავარ პროკურატურაში.

<u>მსჯავრდებულ ამირან ფატოევის საქმე</u>: 2013 წლის 19 დეკემბერს #17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 19 მსჯავრდებულმა შიმშილობა დაიწყო, მათ მიმართ წარმოებული საქმეების გადახედვის მოთხოვნით.

მსჯავრდებულის განმარტებით, მოშიმშილე პატიმრები განათავსეს ე.წ. „ბურში“. 21 დეკემბერს სამი მოშიმშილე პატიმარი გამოიძახეს ეტაპირებაზე. მათ შორის ერთ-ერთმა, ამირან ფატოევმა გამოხატა პროტესტი და ითხოვა განმარტება, რა აუცილებლობას წარმოადგენდა მოშიმშილე პატიმრების ეტაპირება. მსჯავრდებულის განმარტებით, ამ დროს მსჯავრდებულებთან მოულოდნელად გამოვიდა დაახლოებით 30 თანამშრომელი, მათ შორის - #17 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი, რომელმაც პატიმრებს განუცხადა, რომ იგი მათ მოთხოვნებზე პასუხის გაცემას არ აპირებდა.

მსჯავრდებულის ინფორმაციით, ამ დროს, სასჯელაღსრულების დაწესებულების ერთ-ერთმა თანამშრომელმა ამირან ფატოევს საყელოში მოკიდა ხელი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით ნიკაპში დაარტყა, დაუჭირა ხელები და დაუწყო ჯანჯღარი. შემდეგ კი კედელზე არტყმევინა თავი.

ამ ინციდენტის შემდეგ, დაახლოებით 15 წუთში, პატიმარი გამოიძახეს ეტაპირებაზე და გადაიყვანეს #6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2014 წლის 15 იანვარს და 2 მაისს განცხადებები გაავრცელა ამირან ფატოევის ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით და მოითხოვა დროული და ეფექტური გამოძიება[46].

ამირან ფატოევი წინა წლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია და ხერხემლის დაზიანების გამო, ყავარჯნით გადაადგილდება. მის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს მთავარ პროკურატურაში.

<u>მსჯავრდებულ გენადი ჯელაძის საქმე</u>: 2014 წლის 27 აპრილს, პატიმარ გენადი ჯელაძის ეტაპირება მოხდა #6 დახურულ დაწესებულებაში. პატიმრის ინფორმაციით, ამ დროს მის მიმართ განხორციელდა ღირსების შემლახველი ქმედებები. მსჯავრდებულის განმარტებით, იგი გააშიშვლეს და #17 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან შიშველი გადაიყვანეს #6 დახურულ დაწესებულებაში. დამამცირებელი მოპყრობის გამო, პატიმარმა მშრალი შიმშილობა გამოაცხადა.

2014 წლის 2 მაისს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა პრესკონფერენცია გამართეს მსჯავრდებულების - გიორგი ოგანეზოვის, ამირან ფატოევის და გენადი ჯელაძის ცემისა და არაადამიანური მოპყრობის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოითხოვა გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეჩერებოდათ იმ პირებს, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს პატიმართა არაადამიანურ მოპყრობაში და ამავე დროს, კვლავ შეუძლიათ, ზეწოლა მოახდინონ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ დაზარალებულებზე[47]. ორგანიზაციის მოთხოვნა დღემდე არ დაკმაყოფილებულა.

გენადი ჯელაძის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ცემის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს მთავარ პროკურატურაში.

<u>ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის საქმე</u>: 2014 წლის 22 სექტემბერს გიორგი ოქროპირიძე გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადაიყვანეს ბათუმის #3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

პატიმრის გადმოცემით, #8 და #3 დაწესებულების თანამშრომლებმა მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ბრალდებული კონკრეტულად ადანაშაულებს სასჯელაღსრულების #3 დაწესებულების თანამშრომელ მ.მ–ს. ბრალდებულის განმარტებით, ბათუმის #3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიყვანისთანავე მან ითხოვა სამედიცინო დახმარება, რაზეც მიიღო უარი. პასუხად, ბათუმის #3 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელმა აგრესიულად მიმართა ბრალდებულს და დაემუქრა, რომ შიმშილობის გამოცხადებისათვის პასუხს აგებდა.

ასევე, ბრალდებული აცხადებს, რომ აიყვანეს საკანში, სადაც არ იღებოდა ფანჯარა, არ მოდიოდა წყალი და იყო უჰაერობა. ბათუმის #3 სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას გიორგი ოქროპირიძე უშედეგოდ სთხოვდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევას, მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო[48].

---

[46] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17500&lang=geo
[47] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17722&lang=geo
[48] იხ:http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18037&lang=geo; http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18045&lang=geo

გიორგი ოქროპირიძის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო თბილისის პროკურატურაში 2014 წლის პირველ ოქტომბერს და შეწყდა ამავე წლის 13 ოქტომბერს, 12 დღის შემდეგ.

<u>მსჯავრდებულ თამაზ რასოიანის საქმე</u>: 2014 წლის დეკემბერში, მსჯავრდებულმა თამაზ რასოიანმა, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში იცავს, მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ 3 დეკემბერს, ღამის 00:00 საათზე, გლდანის სასჯელაღსრულების #8 დაწესებულების კამერაში, შევიდა ადმინისტრაციის დაახლოებით 20 თანამშრომელი. მათ კამერაში მყოფი მსჯავრდებულები, მათ შორის - თამაზ რასოიანი, ჩაიყვანეს კარანტინში, სადაც განუცხადეს, რომ აქედან უნდა გადაეყვანათ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე.

მსჯავრდებულებმა აღნიშნული მოთხოვნა გააპროტესტეს და მოითხოვეს, აეხსნათ საქმის ვითარება, ასევე მოითხოვეს, მათთან შესულიყო ადვოკატი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები. ამის შემდეგ, როგორც თამაზ რასოიანი აცხადებს, მსჯავრდებულებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ცემეს, რის შედეგადაც თამაზ რასოიანმა მიიღო დაზიანება თვალების არეში. მას ასევე ჰქონდა სისხლჩაქცევები ზურგისა და ფეხის არეში. მსჯავრდებული ასევე აცხადებს, რომ მას გინებით აიძულეს, შიშველს გაეკეთებინა ბუქნები.

4 დეკემბერს მსჯავრდებულები გადაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. გარეგნული დათვალიერებისა და შარდის ანალიზის შემოწმების შედაგად შვიდივე მსჯავრდებულს არ აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოწმედების კვალი.

მათ ასევე აუღეს სისხლის ანალიზი, მაგრამ პასუხი დღემდე არ უცნობებიათ. მსჯავრდებულები სამი დღის განმავლობაში შიმშილობდნენ, ითხოვდნენ ადვოკატებთან და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან შეხვედრას, მაგრამ აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი განუცხადეს[49].

თამაზ რასოიანის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში.

<u>მსჯავრდებულების - ი. ა.-ს და გ. ხ.-ს საქმე:</u> მსჯავრდებულთა ინფორმაციით, #6 დაწესებულების თანამშრომელთა მიერ, მათ და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. მსჯავრდებულთა განმარტებით, ისინი ყოველგვარი მიზეზის გარეშე მოათავსეს სამარტოო საკანში, სადაც არანაირი ჰიგიენური პირობები არ იყო. უფრო მეტიც, ი. ა.-ს დაწესებულების თანამშრომლები ემუქრებოდნენ, რომ მიაყენებდნენ შურაცხყოფას რაც მის მომავალზე აისახებოდა. მსჯავრდებული იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ მან თავის მოკვლაც კი სცადა.

ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად მსჯავრდებულ გ. ხ.-ს სხეულის დაზიანების ფაქტი დადგინდა, ხოლო ი. ა.-ს კი, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლება არ მიეცა[50].

[49] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18026&lang=geo
[50] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18031&lang=geo

მსჯავრდებულთა გარდაცვალების შემთხვევები

2014 წელს დაფიქსირდა მსჯავრდებულთა გარდაცვალების შემთხვევები.

2014 წლის 4 მარტს #14 დაწესებულებაში სხვა პატიმრებთან ფიზიკური დაპირისპირების შედეგად, პატიმარი გ.ფ. მძიმე ტრავმებით გარდაიცვალა[51].

პატიმარი *ა.მ.* გეგუთის #14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, 23 მარტს, დილით იპოვეს გარდაცვლილი[52].

2014 წლის 2 იანვარს, სასჯელაღსრულების #19 ტუბერკულოზის სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრში მსჯავრდებული *დ.გ.* გარდაიცვალა. მსჯავრდებულს, რომელიც მუცლის არეში ძლიერ ტკივილებს უჩიოდა, არ გაეწია ადეკვატური სამედიცინო დახმარება და სამედიცინო პერსონალის მხრიდან დაშვებული შეცდომის გამო, არ მოხდა მისი დროული გადაყვანა შესაბამისი პროფილის საავადმყოფოში, რასაც შედეგად მსჯავრდებულის გარდაცვალება მოჰყვა[53].

2015 წლის მარტის დასაწყისში, ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 42 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. იგი გურჯაანის რაიონიდან იყო. როგორც გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, პატიმარი ციხის საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ნიადაგზე, იგი ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მალევე გარდაიცვალა.

2014 წლის განმავლობაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაფიქსირდა სუიციდის შემთხვევებიც:

სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფოში 1980 წელს დაბადებული მსჯავრდებული *ჯ.ი.-მ* სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სასჯელაღსრულების N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულმა *ა. ჭ.-მ* სუიციდს მიმართა. რეანიმაციული ღონისძიებების მიუხედავად ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

16 სექტემბერს, 08:00 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში, მსჯავრდებული *ზ.ს.* საკანში გარდაცვლილი იპოვეს. ექიმის მიერ დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი ჩამოხრჩობით.

2014 წლის ივლისში რუსთავის N6 დაწესებულებაში 24 წლის ჯ.ფ საპირფარეშოში გარდაცვლილი იპოვეს. მისი გარდაცვალების მიზეზადაც თვითმკვლელობა დასახელდა[54].

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის განმარტებით, სუიციდის შემთხვევების ბოლომდე აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ სასჯელაღსრულების სამინისტრო სუიციდის წინააღმდეგ სპეციალურ პროგრამაზე მუშაობს[55].

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, ციხეებში სუიციდის და პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის რიცხვი 2014 წელს გაზრდილია. ამავე წელს დაფიქსირდა სუიციდის

---

[51] იხ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17686&lang=geo
[52] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17688&lang=geo
[53] იხ: http://www.gurianews.com/_/left_wide/20601_74_ka/arasaTanado_mkurnalobis_gamo_msjavrdebulTa_gardacvaleba_2014_welsac_dafiqsirda.html
[54] იხ: http://presa.ge/new/?m=society&AID=32507
[55] http://presa.ge/new/?m=society&AID=32507

შვიდი სავარაუდო შემთხვევა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ მხრივ პროგრამები ასამუშავებელია[56].

მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის განუსაზღვრელი ვადით გადადება - მსჯავრდებულთა პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი

მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის იდეას ყველაზე იმედიანად მსჯავრდებულები შეხვდნენ, რადგან ბევრი მათგანი თავს უდანაშაულოდ და წინა ხელისუფლების პოლიტიკის მსხვერპლად მიიჩნევდა. ამიტომ, კომისიის შექმნის გადავადებაც ყველაზე მეტად მათ გააპროტესტეს, რასაც მსჯავრდებულთა მასობრივი შიმშილობა მოჰყვა[57].

ჯერ კიდევ 2013 წლის ნოემბერში მთავრობამ გადაწყვიტა, არ წარედგინა პარლამენტისათვის კანონპროექტი მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე და მიზეზად ფინანსური პრობლემები დაასახელა[58].

სახალხო დამცველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებულია მსხვერპლთა მიმართ ჩადენილი დარღვევებისა და უსამართლობის გამოსწორებაზე უარის თქმა ან ამ საკითხის განხილვის გადადება, და რომ ამ მიზნით უკვე არსებული მექანიზმებიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული[59].

მთავრობის გადაწყვეტილებამ, აღნიშნული კომისიის შექმნის გადადების თაობაზე იმთავითვე გამოიწვია ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების უკმაყოფილება[60].

პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამოძიება

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასჯელს იხდიან პატიმრები, რომელთა უმრავლესობა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლია. ამ კუთხით, სამწუხარო ტენდენცია არსებობს პროკურატურის ორგანოებში: მსჯავრდებულთა სავარაუდო წამების ფაქტების გამოძიება ან არ იწყება, ან დაწყებული გამოძიება არაგონივრული ვადით ჭიანურდება.

ამასთანავე, პრობლემას წარმოადგენს დაზარალებულის სტატუსის მინიჭება არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა მიმართ.

2014 წლის განმავლობაში, სახელმწიფოს არ შეუქმნია მექანიზმი მათი დარღვეული უფლებების აღდგენისა. არ არსებობს ორგანო, რომელიც მსჯავრდებულებს წამების მსხვერპლის სტატუსს მიანიჭებს. არ მომხდარა მათი რეაბილიტაცია. პატიმრებისთვის სათანადოდ არ არის ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება.

---

[56] იხ: http://www.24saati.ge/news/story/44519-sakhalkho-damtsveli-tsikheebshi-suitsidis-da-patimarta-mimart-arasatanado-mopyrobis-ritskhvi-gazrdilia
[57] იხ: http://www.tabula.ge/ge/story/77681-subari-cixeebshi-52-patimari-shimshilobs
[58] იხ: http://civil.ge/geo/article.php?id=27613
[59] იხ: http://www.ombudsman.ge/ge/news/1876-saxalxo-damcvelis-gancxadeba-martlmsadjulebis-xarvezebis-damdgeni-meqanizmis-sheqmnis-aucileblobisa-da-am-procesis-dachqarebis-taobaze.page
[60] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17394&lang=geo ; https://gyla.ge/geo/news?info=1860

2012 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ჩათვლით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა 200-მდე განცხადებით/საჩივრით მიმართა პროკურატურას გამოძიების დაწყებისა და გაჭიანურებული გამოძიებების ეფექტურად განხორციელების მოთხოვნით. მიმართულ განცხადებათა/საჩივართა უმრავლესობაზე პროკურატურის ორგანოებში გამოძიება არაგონივრული ვადით ჭიანურდება.

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი წინადადების თანახმად, წამების ან არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, პროკურატურის ორგანოებმა უნდა აწარმოონ მიუკერძოებელი, ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიება ამგვარ ქმედებებში მხილებულ პირთა გამოსავლენად[61].

2015 წლის 30 იანვარს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით[62], საქართველოს პროკურატურაში ახალი სტრუქტურული დანაყოფი – სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი შეიქმნა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწაროების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობა მისი დებულებით რეგულირდება.[63] აღნიშნული დეპარტამენტი იხილავს პროკურატურის ორგანოებში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის პირველ იანვრამდე შესულ საჩივრებს, რის გამოც ის პატიმრები, რომლებმაც ამ პერიოდში არ მიმართეს პროკურატურის ორგანოებს, მოკლებული იქნებიან სამართლებრივ რეაბილიტაციას.

ახალი დეპარტამენტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

მათგან პრიორიტეტი ენიჭება შემდეგი კატეგორიის საქმეებს: წამების შემთხვევები, არაადამიანური და ღირსების შემლახველი ფაქტების შემთხვევები, ქონების იძულებით დათმობის ფაქტები, სხვა იძულების ფაქტები.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, დეპარტამენტი, პირველ რიგში, ორიენტირებული იქნება 2012 წლის 1 ოქტომბრამდე საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაზე.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე მთავარ პროკურატურაში 52530 საჩივარი/განცხადება შევიდა. მათ შორის 10 379 განცხადება – გამოძიების დაწყების მოთხოვნით. თუმცა, ამ განცხადებებს შორის დეპარტამენტი მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ქონების ჩამორთმევის ფაქტებს შეისწავლის, რაც ჯამში 4192 განცხადებაა[64].

[61] იხ: http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/sammartveloebi/regionuli-sammartvelo/siaxleebi-region/winadadeba-mtavar-prokurors-dakavebulis-mimart-savaraudo-arasatanado-mopyrobis-faqttan-dakavshirebit.page

[62] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2724425

[63] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2728207

[64] იხ: http://www.netgazeti.ge/GE/105/law/42074/

იური ვაზაგაშვილის საქმე

2015 წლის 20 იანვარს, ახლობლის დაკრძალვაზე, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში ჩასული იური ვაზაგაშვილი მივიდა საკუთარი შვილის ზურაბ ვაზაგაშვილის[65] საფლავზე, სადაც იგი სასაფლაოზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, გამოძიების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული იქნა საფლავზე აფეთქებული ხელყუმბარის ნაწილი, ე.წ. ფალიის სახელური, რომელზედაც ჩატარებული ექსპერტიზით აღმოჩენილ იქნა ადამიანის დნმ-ის კვალი.

პროკურატურის ინფორმაციით, „გამოძიებით გადამოწმდა მობილური სატელეფონო ოპერატორების მომსახურე ანძებზე დაფიქსირებული აბონენტების ვინაობა, დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე, რომელთა მიმართ საქართველოს შსს-ს გენერალური ინსპექციისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილი და დაკავებული იქნა პოლიციის თანამშრომელი გ.ს., რომელიც როგორც გამოძიებით დადგინდა, 2015 წლის 19-20 იანვარს იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას ტერიტორიაზე და რომლის დნმ-ი გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან (ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავი) ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე აღმოჩენილ დნმ-ს“. პროკურატურის მტკიცებით, უტყუარად შეიძლება ითქვას, რომ იური ვაზაგაშვილი მოკლული იქნა გ.ს მიერ საფლავზე დამონტაჟებული ხელყუმბარის აფეთქების შედეგად. საქმეზე გრძელდება გამოძიება[66].

2015 წლის 26 მაისს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმართეს პარლამენტს და მოითხოვეს გახმაურებელი საქმეების შესასწავლად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც დაადასტურებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობას ნამდვილად აქვს გახმაურებული საქმეების ეფექტურად გამოძიების სურვილი[67].

2015 წლის 21 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, ზურა ვაზაგაშვილის სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება წარიმართოს ეფექტიანად, სრულყოფილად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა პრეკონფერენციაზე მოითხოვა გახმაურებული საქმეების დროული და ეფექტური გამოძიება, რომელიც დღემდე პრობლემას წარმოადგენს.[68] ცენტრის შეფასებით, იური ვაზაგაშვილის სასტიკი მკვლელობა არის დამნაშავეთა დაუსჯელობის შედეგი.

საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, უნდა მოახდინოს საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე გამოძიების

---

[65] 2006 წლის 2 მაისს, ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ე.წ. "სპეცოპერაციის" შედეგად, ადგილზე იქნა მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი.

[66] იხ: http://www.interpressnews.ge/ge/samartali/316168-mthavarma-prokuraturam-iuri-vazagashvilis-mkvleli-daakava.html?ar=A

[67] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18091&lang=geo

[68] იხ: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1045&lang=geo

მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, გამოძიების საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით[69].

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავება

2014 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვის ბრალდებით დააკავა თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები. 30 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით ხუთივე მაღალჩინოსანს პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას, საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძისა და ევროინტეგრაციის მინისტრის ალექსი პეტრიაშვილის თანამდებობიდან გადადგომა. „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დატოვეს მმართველი კოალიცია, ასევე - საპარლამენტო უმრავლესობა და გადავიდნენ ოპოზიციაში. მათ განაცხადეს, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება მიანიშნებს, რომ ხელისუფლებამ დაიწყო „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის, ირაკლი ალასანიასა და მისი გუნდის პოლიტიკური დევნა.

ე. წ. კაბელების სისხლის სამართლის საქმეს გრიფი „საიდულო“ მიენიჭა მოცემულ საქმეზე გამოძიების დაწყების დღეს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილებით. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მთლიანი მასალა მიეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას[70].

2014 წლის 4 ნოემბერს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაუყოვნებლივ გადაეცა საქმის მასალები ბრალდებულთა ადვოკატებისათვის, აგრეთვე უზრუნველეყო ამ მასალების საქართველოს შინაგან სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტისთვის მიწოდება. ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, უზრუნველეყოთ საიდუმლო მასალების განსაიდუმლოება იმგვარად, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას არ მიადგეს ზიანი და ამავე დროს, ხელი შეეწყოს გამოძიების გამჭვირვალედ წარმართვის პროცესს. არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, მიაჩნიათ, რომ საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფი აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პროცესის მონიტორინგში და პირად კონტროლზე აიყვანოს საქმის მსვლელობა[71].

2014 წლის 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით, დაცვის მხარის არც ერთ ადვოკატს არ ჰქონდა საიდუმლო დოკუმენტაციაზე დაშვების უფლება, რის გამოც ადვოკატებს განემარტათ, რომ ვერ მოხდებოდა მათთვის საქმის მასალების ასლების სახით გადაცემა. გამომძიებლის მიერ თითოეული ადვოკატი გაფრთხილებული იქნა სახელმწიფო საიდუმლოების გაუმჟღავნებლობაზე და მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ საქმის მასალებს

[69] იხ: http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/sisxlis-samartlis-martlmsadjulebis-departamenti/siaxleebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-iuri-vazagashvilis-mkvlelobis-faqttan-dakavshirebit.page

[70] http://www.interpressnews.ge/ge/samartali/303429-thavdacvis-saministrom-dakavebuli-thanamshromlebis-saqmis-natsilobriv-gansaidumloebis-mothkhovnith-prokuraturas-ukve-mimartha.html?ar=A

[71] https://idfi.ge/ge/gancxadeba-tavdacvis-saministros-tanamshromlebis-dakaveba

პროკურატურის მიერ გამოყოფილ ოთახში. პასუხად, ადვოკატებმა განაცხადეს, რომ საქმის მასალების გასაცნობად ადვოკატების ერთ ოთახში გამომწყვდევის მცდელობა არის მათი უფლებების უხეში შელახვა. მათი თქმით, დაცვის მხარეს უნდა გადაეცეს და თან უნდა ჰქონდეს ყველა დოკუმენტი, მათ შორის ის საგამოძიებო მასალები, რომლებსაც ადევს გრიფი „საიდუმლო“.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია, შეფასდეს საქმის კონკრეტული მასალისთვის (დოკუმენტისთვის) „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების მიზანშეწონილობა. მისი აზრით, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ე.წ. „კაბელების“ სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალა უნდა გასაიდუმლოებულიყო, რომელიც შეიცავს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

სახალხო დამცველმა მოუწოდა მთავარ პროკურატურას, ასევე შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, დაჩქარებულიყო მოცემული სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების განსაიდუმლოების პროცესი, რომლებიც არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას. აღნიშნული საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს[72].

სავარაუდო პოლიტიკური განთავისუფლებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში

სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებები 2013-2014 წლების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად საუბრობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებების თაობაზე.

ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების განმარტებით, მერიისა და გამგეობების თანამდებობის პირები მათ მიმართ ახორციელებენ მუქარასა და ზეწოლას, სამსახურებიდან გათავისუფლების მოტივად კი პოლიტიკურ შეხედულებებს ასახელებენ.[73]

საქართველოს სახალხო დამცველის განმარტებით, ხშირად თანამშრომლების გათავისუფლება (მათივე თქმით) ზემდგომი პირების მუქარისა და ზეწოლის საფუძველზე ხდება, დასაქმებულ საჯარო მოხელეებს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებებს ზეწოლითა და მუქარით აწერინებენ[74].

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არის რამდენიმე სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების საქმე.

---

[72] http://www.interpressnews.ge/ge/samartali/306162-ombudsmeni-thavdacvis-saministros-dakavebuli-thanamshromlebis-saqmis-natsilze-saidumlo-grifis-mokhsnas-ithkhovs.html?ar=A

[73] იხ: http://imedi.ge/archive/index.php?rec_start=40&rec_start_nav=33&pg=nws&id=36556&ct=1; http://www.tabula.ge/ge/story/87628-ngo-ebi-meriashi-savaraudod-politikuri-nishnit-gatavisuflebis-faqtebs-gmoben

[74] იხ: http://162.212.176.35/ge/story/89678-saxalxo-damcveli-sajaro-samsaxuridan-xalxis-masobriv-gatavisuflebaze-saubrobs

- <u>ნატო უსენაშვილის საქმე</u>

ნატო უსენაშვილი 2012 წლის 20 ივლისს დაინიშნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორად. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე კი იგი იყო სიღნაღის №13 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნატო უსენაშვილს იბარებდნენ პოლიციასა და პროკურატურაში, ეუბნებოდნენ, რომ იგი იყო დამნაშავე, რადგან ერთდროულად იღებდა ხელფასს სამსახურიდან და საოლქო საარჩევნო კომისიიდან.

როგორც ნატო უსენაშვილი აცხადებს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მაჟორიტარი დეპუტატი მისგან პირდაპირ მოითხოვდნენ, დაეტოვებინა სამსახური; ასევე მოითხოვდნენ, სამსახურიდან გაეთავისუფლებინა თანამშრომლები.

ნატო უსენაშვილის მიერ გაგზავნილი მიმართვები საკრებულოს სახელზე რჩებოდა უპასუხო ან პასუხს სცემდნენ ორი და სამი თვის დაგვიანებით, რაც ხელს უშლიდა სკოლამდელი სააღმზდელო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და უსენაშვილის მოვალეობების დაუბრკოლებელ შესრულებას.

რამდენიმეთვიანი უშედეგო დევნის შემდგომ, 2013 წლის 8 აპრილს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნატო უსენაშვილი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლა სამსახურიდან. საპასუხოდ, უსენაშვილმა სარჩელით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც დააკმაყოფილა სარჩელი და ნატო უსენაშვილი აღადგინა სამსახურში.

2013 წლის 6 აგვისტოს ნატო უსენაშვილმა კვლავ დაიწყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. პარალელურად საკრებულოს და გამგეობის მხრიდან განახლდა სხვადახვა კომისიებით და შემოწმებებით ნატო უსენაშვილზე ზეწოლა, რათა მას კვლავ დაეტოვებინა სამსახური. საკრებულოს დავალებით შეიქმნა საფინანსო კომისია, რომელმაც დაიწყო სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საბუღალტრო დოკუმენტაციის შემოწმება.

სამსახურში აღდგენიდან ორი თვის შემდეგ საკრებულომ უსენაშვილი ისევ გაანთავისუფლა სამსახურიდან. თუმცა, 2014 წლის 27 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ნატო უსენაშვილი სამსახურში აღადგინა.

როგორც უსენაშვილი აცხადებს, მას ასევე დევნის სიღნაღის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი გელა გელაშვილი, რომელიც დაემუქრა დაპატიმრებით, თუ თავისი სურვილით არ დატოვებდა სამსახურს[75].

ბინადრობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები

2014 წლის 1 სექტემბრიდან, საიმიგრაციო პროცესების დარეგულირების მიზნით, ძალაში შევიდა ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“[76]. კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლას, ყოფნას, ტრანზიტით გავლასა და საქართველოდან გასვლას. კანონში ძირითად პრინციპებად

[75] იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესკონფერენცია ნატო უსენაშვილის საქმესთან დაკავშირებით: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1024&lang=geo&rate=10
[76] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806

მოაზრებულია: ოჯახის ერთიანობის პრინციპი, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი, არგაძევების პრინციპი, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი. თუმცა, ერთია კანონით დაწესებული ნორმები და მეორეა მათი შესრულების მდგომარეობა საქართველოში.

2014 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართა ათეულობით უცხოელმა, რომელთაც უარი ეთქვათ საქართველოში ბინადრობის უფლების მოპოვებაზე. ბინადრობის უფლებაზე უარის თქმის ძირითად საფუძველს წარმოადგენს კომპეტენტური ორგანოს დასკვნის არსებობა, რომელიც მიზანშეუწონლად მიიჩნევს კონკრეტული ადამიანის საქართველოში ცხოვრებას. ასეთ კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომლის „დასკვნა" სულ რამდენიმე წინადადებისაგან შედგება და მთავრდება ვერდიქტით: „კონტრდაზვერვის დეპარტამენტს საქმეში მითითებული პირისთვის მუდმივი ბინადრობის მინიჭების უფლება მიზანშეუწონლად მიაჩნია".

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არც კი ინტერესდება, რა უდევს საფუძვლად ამ უარს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეყრდნობა აღნიშნულ პასუხს და გასცემს უარს ბინადრობის უფლების მინიჭებაზე. შემდეგ, როცა ეს საქმე სასამართლოში გადაინაცვლებს, არც სასამართლო ინტერესდება არგუმენტებით. სასამართლო ეყრდნობა ,,კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონს, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საქმიანობა არის საიდუმლო და მის მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისთვის. აქ გხვდება კანონებს შორის აშკარა კოლიზია, ადმინისტრაციული აქტი უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისად, პირისათვის ცნობილი უნდა იყოს რა დაედო ამ აქტის განხილვას საფუძვლად. არ შეიძლება ადმინისტრაციულ აქტს საფუძვლად დაედოს ისეთი რამ, რაც არ იყო შესწავლილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

არც ერთ საქმეში მხარისათვის არაფერია ცნობილი იმ „არგუმენტების" შესახებ, რაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნაშია აღნიშნული. თუმცა, ამ ფაქტს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არავითარ ყურადღებას არ აქცევს და უცხოელ მოქალაქეებს საქართველოში დროებით ცხოვრებაზე უარს ეუბნება. არგუმენტებით არც სასამართლო ინტერესდება.

2014 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს დახმარებისთვის ასევე მომართა რამდენიმე უცხოელმა მოქალაქემ, რომლებიც დაქორწინებული არიან საქართველოს მოქალაქეებზე. მათ ჰყავთ შვილები, რომლებიც ქართულ სკოლაში დადიან და სურვილი აქვთ, ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, როცა იუსტიციის სამინისტრო მათ ბინადრობის ნებართვაზე უარს ეუბნება, ოჯახი დგება არჩევანის წინაშე - ან ოჯახი ინგრევა, ან მიემგზავრება სხვა ქვეყანაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური მიმართვაც გაავრცელა, სადაც ისაუბრა შსს-ს მხრიდან ოჯახის ერთიანობის პრინციპის დარღვევაზე[77].

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2014 წლის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სავარაუდო ზეწოლის ფაქტები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ კანდიდატებზე, რომლებმაც საკუთარი კანდიდატურები რეგისტრაციიდან საკუთარი ნებით

[77] იხ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17955&lang=geo

მოხსნეს[78]. პრობლემატური იყო, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის არათანმიმდევრული მიდგომა კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნა/არმოხსნის საკითხთან დაკავშირებით. ცესკოს გადაწყვეტილებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი მარნეულში, აკმამედ იმამკულიევი რეგისტრაციიდან იმ მოტივით მოიხსნა, რომ ის ვერ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ საცხოვრებელ ცენზს, რომლის მიხედვითაც, კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოში. თუმცა, ანალოგიურ შემთხვევებში, „ქართული ოცნების" კანდიდატები ქალაქ რუსთავსა და ფოთში, რეგისტრაციიდან არ მოხსნილან[79]. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, აკმამედ იმამკულიევს საარჩევნო რეგისტრაცია აღუდგა.

არჩევნების დღეს ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდებოდა კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებსა და იმერეთის რეგიონის კონფლიქტისპირა სოფლებში. ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს, ძირითადად, ჰქონდა პროცედურული ხასიათი და გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არასათანადო მომზადებითა და კვალიფიკაციით[80]. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა, საარჩევნო უბნებზე 9 საჩივარი დაწერეს და 30-მდე შენიშვნა გააკეთეს ჩანაწერთა წიგნში, რის შედეგადაც, დარღვევების უმეტესობა ადგილზე აღმოიფხვრა. ადამიანის უფლებათა ცენტრის ორი საჩივარი, ასევე, წარედგინა საოლქო კომისიას და მოთხოვნილ იქნა შესაბამის საარჩევნო უბნებზე არჩევნების შედეგების გაუქმება. აღნიშნული საჩივრების შედეგად, შესაბამისი უბნების თავმჯდომარემ, მოადგილემ და მდივანმა ზემდგომი კომისიისაგან სიტყვიერი გაფრთხილება მიიღეს და მომავალში საარჩევნო კომისიის წევრობა აეკრძალათ[81]. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ასევე დააფიქსირა უკანონო აგიტაციის შემთხვევები საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე[82].

პოზიტიურად შეაფასა 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღის პროცესი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებმა" (ISFED), რომელიც არჩევნებს მთელი საქართველოს მასშტაბით აკვირდებოდა. ორგანიზაციის შეფასებით, კენჭისყრის პროცესთან დაკავშირებული პროცედურული ხასიათის დარღვევები შემცირებული იყო, როგორც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით. ორგანიზაციის შეფასებით, მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენდა ბათილი ბიულეტენების მაღალი მაჩვენებელი და ხარვეზების დიდი რაოდენობა შემაჯამებელ ოქმებში[83].

[78] გვ. 7; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/kartuli%20saboloo_1.pdf
[79] გვ. 9; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/kartuli%20saboloo_1.pdf
[80] გვ. 10; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/kartuli%20saboloo_1.pdf
[81] გვ. 18; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/kartuli%20saboloo_1.pdf
[82] გვ. 13-17; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/kartuli%20saboloo_1.pdf
[83] გვ 10; http://www.isfed.ge/main/777/geo/

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები/ფოტო ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს

სამართლიანი სასამართლოს უფლება/გახმაურებული საქმეები

2012 წლის არჩევნების შემდეგ შეიცვალა აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების შესახებ სასამართლოების მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. კერძოდ, მოსამართლეები უცვლელად აღარ აკმაყოფილებენ ბრალდების მხარის მოთხოვნას პატიმრობის შეფარდების შესახებ. ამ მხრივ, გაუმჯობესების ტენდენცია დღემდე გრძელდება. 2014 წლიდან მოსამართლეები კიდევ უფრო ხშირად იყენებენ გირაოს და პატიმრობისგან განსხვავებულ აღკვეთის ღონისძიებებს[84]. 2014 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიული სახე შეეფარდათ ან არც ერთი ღონისძიება არ შეფარდებიათ, 3%-დან 11%-მდე გაიზარდა[85].

2014 წლის 9 დეკემბერს ეუთომ საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში წარმოადგინა, რომელშიც 2012 წლის ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესებია განხილული. მონიტორინგი განხორციელდა ყოფილი მაღალჩინოსნების 14 სასამართლო საქმეზე, მათ შორისაა: საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ივანე მერაბიშვილი, ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრი, ბაჩანა ახალაია, ყოფილი თბილისის მერი, გიგი უგულავა, იუსტიციის ყოფილი მინისტრი და გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ნიკა გვარამია, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, დავით კეზერაშვილი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ზურაბ ადეიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი, თენგიზ გუნავა, კახეთის ყოფილი გუბერნატორი, ზურაბ ჭიაბერაშვილი და სხვები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მონიტორინგის შედეგად, მთელი რიგი ხარვეზები გამოვლინდა სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მხრივ, მათ შორის, ისეთ უფლებებთან დაკავშირებით, როგორიც არის: კანონის საფუძველზე შექმნილი

[84] https://gyla.ge/geo/news?info=2360
[85] გვ. 5; https://gyla.ge/uploads/publications/6-GEO.pdf

დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დუმილის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება და მოწმეთა დაცვა[86].

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, მთლიანობაში, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლებას უზრუნველყოფს. თუმცა, რამდენიმე საქმის შემთხვევაში, ეუთოს მისია ეჭვს გამოთქვამს სასამართლო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

„ის ნიშნები, რაც ეჭვს აღძრავს სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, უკავშირდება მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ისეთ პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება ვერ უზრუნველყოს მოსამართლეთა ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვა. ეს მოიცავს მოსამართლეთა გადაყვანას ერთი სასამართლოდან მეორეში და მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას სრულიად გამჭვირვალე პროცედურის გარეშე, რაც მანიპულირებისა და ჩარევის შესაძლებლობას წარმოქმნის; და მოსამართლეთა შეცვლას მიმდინარე საქმების წარმოების პროცესში ყოველგვარი განმარტების გარეშე, რაც თავის მხრივ არ შეესაბამება შიდასახელმწიფოებრივ საპროცესო კანონმდებლობას. შესაძლოა, ასეთი პრაქტიკა არ არღვევს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ ბრალდებულის გასამართლების უფლებას, თუმცა მან გამოიწვია შეშფოთება მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და შესაბამისად საზოგადოებრივი აღქმადობის თვალსაზრისით“, - ვკითხულობთ ანგარიშში[87].

აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებს ასევე ასევე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის 2014 წლისა[88] და ადამიანის უფლებათა ცენტრის 2013 წლის[89] ანგარიშები.

2013 წლის 3 აგვისტოს, არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) ბაჩო ახალაიას მიმართ მიმდინარე საქმეებზე მოსამართლეების დანიშვნის შესახებ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ბაჩანა ახალაიას სამივე სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული მოსამართლეები ერთსა და იმავე დღეს გადმოიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა სასამართლოებიდან[90]. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლო ხელისუფლებას დღემდე არ გაუკეთებია განმარტებები.

ეუთოს მისიის დასკვნის თანახმად, მოსამართლეები დასაბუთების გარეშე უარს ამბობდნენ დაცვის შუამდგომლობებზე პატიმრობის არგამოყენების ან გაუქმების შესახებ, რამაც შექმნა სასამართლოს მიკერძოებულობის შთაბეჭდილება. ანგარიშის თანახმად, წერილობითი გადაწყვეტილებები მცირე დასაბუთებას წარმოადგენდნენ მხარეთა არგუმენტებთან, ასევე მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით[91].

ეუთოს მონიტორინგის ანგარიშში ასევე აღნიშნულია: *„მონიტორინგმა დააფიქსირა, რომ მრავალ განაჩენში ხდებოდა წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების უგულვებელყოფა და*

---

[86] გვ 7; http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true
[87] გვ. 7; http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true
[88] http://transparency.ge/post/report/gakhmaurebuli-sisxlis-samartlis-saqmeebis-monitoringis-meore-angarishi-2014
[89] http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20saboloo2.pdf
[90] გვ. 33; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20saboloo2.pdf
[91] გვ. 10; http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true

ასევე სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენა არ ხორციელდებოდა საკმარისად იმის ასახსნელად, თუ რის საფუძველზე მოხდა კონკრეტული სასჯელის შეფარდება. მსგავსი პრაქტიკა ხელყოფდა ბრალდებულის უფლებას დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე"[92].

ანგარიშის თანახმად, რიგ შემთხვევებში დაცვის ადვოკატს საქმის მოსამზადებლად საკმარისი დრო არ ეძლეოდა, რაც მხარეთა თანასწორობის პრინციპს არღვევდა[93].

ყოფილ მაღალჩინოსანთა საქმეთა გაჭიანურების ტენდენციაზე მიუთითებს როგორც ეუთოს, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სასამართლო მონიტორინგის ანგარიშები[94-95-96].

2015 წლის 13 მარტს, პატიმრობაში მყოფ თბილისის ყოფილ მერს პროკურატურამ შეუცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია საქმეზე, რომელზეც მას ორჯერ უკვე წაყენებული ჰქონდა ბრალი. არასამთავრობო ოგრანიზაციების შეფასებით, ახალ დადგენილებაში ასახული მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები ძირითადად ემთხვევა წინა, 2014 წლის დადგენილებაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რაც აჩენს გამოძიების ხელოვნურად გაჭიანურების ეჭვს[97]. საქმის გაჭიანურების ნიშნები გამოიკვეთა ასევე ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2013 წელს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეების მონიტორინგის შედეგად[98].

შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2014 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას, რომლის რატიფიკაცია პარლამენტმა 2013 წლის დეკემბერში მოახდინა[99]. თუმცა, სამოქმედო გეგმა არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების თაობაზე[100], რაც საეჭვოს ხდის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების რეალური იმპლემენტაციის საკითხს.

არაადაპტირებული გარემო კვლავ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა ამ კუთხით გარკვეულ გარანტიებს ქმნის, ფაქტობრივი მდგომარეობა აჩვენებს, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არ არის შექმნილი სრულფასოვანი ცხოვრებისათვის შესაბამისი პირობები და ხელმისაწვდომი გარემო[101].

---

[92] გვ. 17; http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true
[93] გვ 10; http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true
[94] გვ. 104 http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true
[95] https://gyla.ge/geo/news?info=2161;
[96] http://transparency.ge/post/report/gakhmaurebuli-sisxlis-samartlis-saqmeebis-monitoringis-meore-angarishi-2014
[97] http://transparency.ge/post/general-announcement/arasamtavroboebis-gantskhadeba-gigi-ugulavastvis-aghkvetis-ghonisdziebis-khelakhla-shefardebis-taobaze
[98] გვ. 36; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20saboloo2.pdf
[99] http://www.government.gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf
[100] http://ombudsman.ge/uploads/other/2/2148.pdf
[101] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინი, http://emc.org.ge/category/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზება დღემდე წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, გარემოში არსებული ბარიერები, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განწყობები, განათლებასა და რეაბილიტაციაზე წვდომის დაბალი ხარისხი - აღნიშნული დაბკროლებები იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შრომის უფლების რეალიზებაში ხელს უშლის[102].

2015 წლის 13 თებერვალს ელექტრონულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ცნობილი გახდა, რომ სპორტის სასახლემ არ გაითვალისწინა ეტლით მოსარგებლე პირთა საჭიროებები - არ მოახდინა პანდუსების დამონტაჟება ცნობილი საოპერო მომღერლის, პაატა ბურჭულაძის საღამოზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პანდუსები სპორტის სასახლეს აქვს. ამის გამო, ეტლით მოსარგებლე პირებმა, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე, ვერ შეძლეს ღონისძიებაზე დასწრება[103].

სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე დასწრების მსურველ შშმ პირთა მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის შესწავლა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში[104].

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს სპორტის სასახლის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციის კიდევ ერთ საქმეს, რელიგიური უმცირესობის მიმართ[105].

წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს 2014 წლის ოქტომბერში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქმედუუნარობის არსებული მოდელის არაკონსტიტუციურად ცნობა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელის საფუძველზე. ქმედუუნარობის არსებული მოდელი ადამიანს ართმევდა ყველა უფლების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსით, ფსიქიკური აშლილობისა და გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებს ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში ერთმეოდათ ისეთი უფლებებიც კი, როგორიც არის წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების დადება, მათ შორის, მაღაზიაში მცირე ღირებულების სასურსათო პროდუქტის შეძენა[106]. საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტი დაავალდებულა, შეიმუშავოს და მიიღოს ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ადამიანის უფლებების სტანდარტებთან[107]. „ქმედუუნარობის სისტემის რეფორმის'' პაკეტი 2015 წლის

%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/

[102] *იგივე*

[103] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/41317/

[104] http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/shshm-pirebis-uflebata-dacvis-departamenti/siaxleebi-ssm/saxalxo-damcvelma-paata-burchuladzis-saiubileo-sagamoze-daswrebis-msurvel-shshm-pirta-mimart-savaraudo-diskriminaciuli-mopyrobis-faqtis-sheswavla-daiwyo.page

[105] გვ. 30; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf

[106] https://gyla.ge/geo/news?info=2294

[107] http://17mai.si/2015/03/06/kordzaia-3/

თებერვალში პარლამენტში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, თამარ კორძაიამ წარადგინა[108].

ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2014 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, გრძელდება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არასათანადო რეაგირება ლგბტ პირთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ განხორციელებული ანალიზის თანახმად, რომელიც ეფუძნება არასამთავრობო ორგანიზაციების - „იდენტობისა“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის'' (WISG) კვლევებს, 2013-2014 წლების განმავლობაში, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენილი სამართალდარღვევების საქმეებზე გამოძიება ან არ დაწყებულა ან არაგონივრულად გაჭიანურდა[109]. ორგანიზაციამ შეისწავლა 19 საქმე, სადაც დაფიქსირდა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობისა და დისკრიმინაციის ნიშნები. ორგანიზაციის მიერ შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, პირადი საიდუმლოს ხელყოფისა და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტებზე. ორგანიზაციის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეებში არსებული მტკიცებულებები ადასტურებდა სიძულვილის მოტივს, სასამართლოს არ გამოუყენებია ის სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად, მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53 მუხლის მოთხოვნისა[110].

2014 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად აქციის გამართვაზე უარი თქვეს ლგბტ თემის წარმომადგენლებმა და აქტივისტებმა, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მათი უსაფრთხოების დაცვას[111]. ლგბტ აქტივისტების მშვიდობიანი აქციის წინააღმდეგ 2013 წლის 17 მაისს განხორციელებული ფიზიკური ძალადობის არც ერთ ფაქტზე არ დამდგარა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არავინ არ დასჯილა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამო[112].

„უხილავების პროტესტი'' პუშკინის სკვერში/ფოტო ეკუთვნის ჟურნალ ლიბერალს

[108] http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/42675/
[109] https://emcrights.files.wordpress.com/2014/05/analizi1.pdf
[110] *იგივე*
[111] http://ombudsman.ge/uploads/other/2/2148.pdf
[112] http://ombudsman.ge/uploads/other/2/2148.pdf

ლგბტ პირთა უფლებების დაცვის კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა 2014 წლის 4 თებერვალს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერსა და 2007 წლის 27 სექტემბერში გამოცემული ბრძანებების ის მუხლები, რომლებიც ჰომოსექსუალებს სისხლის დონორობას უკრძალავდა[113].

რელიგიური უმცირესობები

2014 წელს, წინა წლების მსგავსად, გამოუძიებელი დარჩა 2012-2013 წლებში, სოფელ ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში მუსლიმთა წინააღმდეგ განხორციელებული მუქარისა და რელიგიური რიტუალის უკანონოდ ხელშეშლის ფაქტები[114].

2014 წლის განმავლობაში მუდმივი შევიწროების ქვეშ იმყოფებოდა ქალაქ ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე მუსლიმური პანსიონი. 2014 წლის ზაფხულის პერიოდში, ადგილობრივი მაცხოვრებლების კონკრეტული ჯგუფი მუდმივად დევნიდა, სიტყვიერად შეურაცხყოფდა და შენობის რემონტში ხელს უშლიდა პანსიონის ტერიტორიაზე მყოფ მუსლიმ პირებს[115]. 2014 წლის 10 სექტემბერს, როცა პანსიონი მოსწავლეთა მისაღებად ემზადებოდა, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, რომლებიც თავს მართლმადიდებლურ მრევლს მიაკუთვნებენ, პანსიონის წინ ღორი დაკლეს და მისი თავი შენობის კარზე დაკიდეს. ისინი აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებენ მათ მეზობლად მუსლიმური პანსიონის გახსნას[116].

აღნიშნულმა ქმედებებმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 10 სექტემბრის ფაქტის შემდეგ და დღემდე გრძელდება. ადგილობრივი მაცხოვრებლების ორგანიზებული ჯგუფი შენობას მუდმივად მეთვალყურეობს. ისინი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ პანსიონში შესვლის მსურველ მუსლიმებს, ორგანიზებულად უღობავენ გზას და ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულებენ, უარი თქვან პანსიონში შესვლაზე. შენობის შესასვლელი გზა ხელოვნური ბარიერებით არის გადაკეტილი. შენობის შესასვლელთან ხის მასალითა და ავტომანქანის ბორბლებით გაკეთებული ბარიკადებია აღმართული, ბარიკადების წინ კი - ჯვარი. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა 2015 წლის 16 იანვარს ვიზიტი განახორციელეს ქობულეთში და თავად დარწმუნდნენ არსებულ მდგომარეობაში[117].

---

[113] http://www.tabula.ge/ge/story/79866-sasamartlo-homoseqsualtatvis-sisxlis-donorobis-akrdzalva-arakonstituciuria

[114] http://www.scribd.com/doc/249013556/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#scribd

[115] http://emc.org.ge/2014/09/10/gancxadeba-kobuletis-incidentze/

[116] https://www.youtube.com/watch?v=o6J8Ka-0pPI

[117] გვ. 7-10; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf

მუსლიმური პანსიონის წინამდებარე ტერიტორია/ფოტო ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს

2014 წლის 25 ნოემბერსა და 2 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა სასამართლო პროცესის მონიტორინგი მოქალაქე ლელა შველიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ახალციხის რაიონულ სასამართლოში. მონიტორინგმა გამოავლინა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რის გამოც, 2014 წლის დეკემბრიდან ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი საქმეში ბრალდებულის ინტერესების დამცველად ჩაერთო. საქმე მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ განიხილა[118].

ლელა შველიძეს, რომელიც იეჰოვას მოწმეა, ბრალად ედებოდა ასპინძაში მეზობლად მცხოვრები ზინა ზედგინიძე-ნინუას ცემა, სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად. თუმცა, აღნიშნული ბრალი არ ყოფილა გამყარებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

საქმეში არსებული მტკიცებულებები აჩენს ეჭვს, რომ ბრალდებული ლელა შველიძე თავად იყო შევიწროების მსხვერპლი „დაზარალებულის“ მხრიდან. 11 მეზობლის მიერ ხელმოწერილი კოლექტიური განცხადების თანახმად, ზინა ზედგინიძე-ნინუა განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა და მუდმივად ავიწროვებდა მეზობლებს. ერთ-ერთი მათგანის, ეკა გორელიშვილის განცხადებით, იგი რამდენჯერმე მივიდა პოლიციაში, რომ ზინა ნინუას მხრიდან შველიძეების ოჯახის შევიწროვებასთან დაკავშირებით განცხადება დაეწერა, მაგრამ ეს პოლიციამ საჭიროდ არ ჩათვალა[119].

საქმეში წარმოდგენილი ერთადერთი თვითმხილველის, გიორგი გორელიშვილის ჩვენება, რომლის თანახმადაც, მან დაინახა, რომ ლელა შველიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზინა ნინუას, სასამართლო პროცესზე თავად მოწმემ უარყო. 2014 წლის 16 დეკემბერს გიორგი გორელიშვილმა პროცესზე განაცხადა, რომ მას პოლიციელებმა მთვრალ მდგომარეობაში მოაწერინეს ხელი აღნიშნულ ჩვენებაზე, ჩვენების შინაარსი კი მეორე დღეს გააცნეს. მოწმის განცხადებით, ის შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა და არაფერი დაუნახავს[120].

აღნიშნულ საქმეში სამართალდამცავი პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებში აშკარად შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების - ნიშნები (სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 333-ე მუხლი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მე-17 მუხლის თანახმად, პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ქმნიდა აღნიშნული ვარაუდის საფუძველს, პირიქით, მტკიცებულებების

---

[118] გვ. 11; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf

[119] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18002&lang=geo

[120] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18098&lang=geo

თანახმად, იქმნებოდა ეჭვი, რომ ლელა შველიძე თავად იყო შევიწროების მსხვერპლი. შემაშფოთებელია მთავარი მოწმისა და მისი ოჯახის განცხადებები პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ზეწოლაზე. სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის თანახმად, სამართალდამცავი პირების მიერ მოტყუებით ან სხვა უკანონო ქმედებით ჩვენების მიცემის იძულება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. სამართალდამცავი პირების მხრიდან მოწმე გიორგი გორელაშვილისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებში ასევე გამოვლინდა აღნიშნული დანაშაულის ნიშნები[121].

ლელა შველიძის წინააღმდეგ საქმის აღძვრა ხელშესახები მტკიცებულებების გარეშე ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ის სამართლებრივი დევნის ობიექტი გახდა რელიგიური კუთვნილების გამო. სსკ-ის 53-ე მუხლის მე 3[1] მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენა პირის რელიგიური კუთვნილების გამო ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 15 იანვარს, მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ ლელა შველიძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა[122].

2015 წლის 12 იანვარს, ლელა შველიძის საქმეზე ასპინძის პოლიციის მიერ განხორციელებულ დარღვევებთან დაკავშირებით, სამცხე–ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ ასპინძის რაიონული სამმართველოს იმ თანამშრომლების სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე დაიწყო გამოძიება, რომლებიც შველიძის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებდნენ[123].

2014 წლის 25 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმა მოინახულა ისტორიული მეჩეთი სოფელ ფლატეში, ადიგენის მუნიციპალიტეტში. მეჩეთი ამჟამად მძიმედ დაზიანებულია. ფლატეში ვიზიტი მონიტორინგის ჯგუფმა გადაწყვიტა ადიგენის მუნიციპალიტეტის მეზობელ სოფლებში, მოხესა და ჭელაში მცხოვრები მუსლიმი თემისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, ისტორიული მეჩეთის დანგრევას ორგანიზება გაუწია ზარზმის მონასტრის წინამძღვარმა, ნიკოლოზ გეწაძემ, სამშენებლო მასალა კი ზარზმის მონასტრის დამხმარე ნაგებობების საშენ მასალად იქნა გამოყენებული. მათივე განცხადებით, ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა, რომელიც სოფელში უმცირესობას წარმოადგენს, უარყოფს აღნიშნულ ინფორმაციას, რადგანაც უფრთხის დაპირისპირებას ადგილობრივ მართლმადიდებლებთან, რომლებიც სოფელში უმრავლესობას წარმოადგენენ. ფლატეში ვიზიტისას მონიტორინგის ჯგუფი გაესაუბრა ადგილობრივ მუსლიმებს, რომლებიც მართლაც უარყოფენ მეჩეთის დაზიანების ფაქტს, მაგრამ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები სწორედ აღნიშნულზე მეტყველებს[124].

აღნიშნული საკითხი თავის დროზე შეისწავლა სახალხო დამცველის ოფისმაც. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელის, ბექა მინდიაშვილის ინფორმაციით, მათ ნახეს წაღებული ქვები და ესაუბრნენ მონასტრის ერთ-ერთ სასულიერო პირს, რომელმაც დაადასტურა, რომ მეჩეთის ქვები საშენ მასალად გამოიყენეს[125]. მეჩეთის

---

[121] გვ. 13; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf

[122] გვ. 14; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf

[123] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18098&lang=geo

[124] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo

[125] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo

დაზიანების ფაქტი დაადასტურა ზარზმის მონასტრის წინამძღვარმაც, გასული წლის ზაფხულში, გაზეთ „სამხრეთის კარიბჭისთვის“ მიცემულ ინტერვიუში[126].

2014 წლის 17 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა გამოძიების დაწყება სოფელ ფლატეში არსებული ისტორიული მეჩეთის სავარაუდო განზრახ დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ ფაქტების შესწავლა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. თუმცა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქმე გამოსაძიებლად ადიგენის რაიონის პოლიციის სამმართველოს გადასცა.


ფლატის ისტორიული მეჩეთის მდგომარეობა/ადამიანის უფლებათა ცენტრის ფოტო

2014 წლის 23 დეკემბერს, ადიგენის პოლიციის სამმართველოს გამოძიებელი ბესიკ აფრიამაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს, თამარ ავალიანს და კატეგორიული ტონით მოსთხოვა მას ადიგენის პოლიციაში ჩასვლა ფლატეს საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით დასაკითხად, გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი, იძულების წესით მიყვანით დაემუქრა.

24 დეკემბერს მონიტორინგის ჯგუფი გაემგზავრა ადიგენის რაიონულ პოლიციაში, სადაც თამარ ავალიანი მოწმის სახით დაიკითხა. დაკითხვა მიმდინარეობდა საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევებით. დაკითხვისას გამომძიებელი ბესიკ აფრიამაშვილი ხშირად ეკონტაქტებოდა უცნობ პიროვნებებს ტელეფონით და იღებდა დირექტივებს დაკითხვის პროცესთან დაკავშირებით. თამარ ავალიანმა ამასთან დაკავშირებით შენიშვნა დააფიქსირა დაკითხვის ოქმში, რამაც გამომძიებლის გაღიზიანება გამოიწვია. დაკითხვა გაგრძელდა სამ საათზე მეტ ხანს. თამარ ავალიანთან საუბრისას გამომძიებელმა ბესიკ აფრიამაშვილმა განაცხადა, რომ მისი მამა-პაპა ოდითგანვე ებრძოდა მუსლიმებს და გამოთქვა წყენა, რომ „მართლმადიდებელთა უფლებებს არავინ იცავს“. მისი განცხადებით, ადიგენის რაიონში მცხოვრები მუსლიმები აზვიადებენ პრობლემებს, სინამდვილეში კი მათ უფლებებს არავინ არღვევს[127].

აღნიშნული განცხადებები წარმოაჩენს გამომძიებლის მიკერძოებულ დამოკიდებულებას და არსებითად არღვევს გამოძიების წარმოების ფუნდამენტურ პრინციპს - ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

24 დეკემბერს, თამარ ავალიანის დაკითხვის დასრულებიდან 10 წუთში, ადიგენის პოლიცია დაუკავშირდა სამცხე-ჯავახეთის მუფთს, მამუკა ვაშაყმაძესა და ჭელას მეჩეთის იმამს, ჯამბულ აბულაძეს და დაიბარა ისინი პოლიციაში მოწმის სახით დასაკითხად. ადვოკატის მოსაყვანად

[126] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf [127] გვ. 18;

მათ მხოლოდ 3 საათი მისცეს, რაც წარმოადგენს არაგონივრულ ვადას ადვოკატის მოსაძიებლად. მონიტორინგის ჯგუფის განცხადების შემდეგ, რომ ისინი დაუკავშირდებოდნენ საინფორმაციო საშუალებებს და აცნობებდნენ აღნიშნული დარღვევის შესახებ, პოლიციამ შეცვალა გადაწყვეტილება და მამუკა ვაშაყმაძესა და ჯამბულ აბულაძეს მიეცათ ვადა 25 დეკემბრის 12 და 14 საათამდე, რათა ადვოკატთან ერთად გამოცხადებულიყვნენ ადიგენის პოლიციაში მოწმის სახით[128].

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეშფოთებას ასევე იწვევს უფლებადამცველის მოწმედ დაკითხვას იმ საქმეზე, რომლის მონიტორინგსაც იგი ახორციელებს. ორგანიზაციის იურისტები გამოძიების დაწყების მოთხოვნით ხშირად მიმართავენ პროკურატურას, მაგრამ იმავე საქმეებზე მოწმეებად, როგორც წესი, არ იკითხებიან. ადიგენის რაიონის პოლიციის გამომძიებლის ქმედებიდან იკვეთება საფრთხე, რომ საგამოძიებო ორგანოებმა პრაქტიკად დანერგონ უფლებადამცველების დაკითხვა მათ მიერ წარმოებულ საქმეებზე.

კონკრეტულმა შემთხვევამ ნათლად აჩვენა, რომ მსგავსი პრაქტიკის დანერგვის შემთხვევაში, მოწმედ დაკითხული უფლებადამცველი ადვოკატი ფაქტობრივად ვეღარ მონაწილეობს იმავე საქმეში ადვოკატად. 24 დეკემბერს მოწმედ დაკითხულმა თამარ ავალიანმა ვეღარ შეძლო სამცხე-ჯავახეთის მუფთს, მამუკა ვაშაყმაძისა და ჭელას მეჩეთის იმამის, ჯამბულ აბულაძის დაცვა, რის გამოც ორგანიზაციამ მეორე დღეს სხვა იურისტი გამოყო მოწმედ დაკითხვის პროცესში მუსლიმთა თემის ლიდერების ინტერესთა დასაცავად.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კიდევ ერთი დაპირისპირების კერაა სოფელი მოხე ადიგენის მუნიციპალიტეტში, სადაც მუსლიმი და მართლმადიდებელი მოსახლეობა სოფლის ცენტრში არსებული შენობის წარმომავლობაზე დაობს.

პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავით თავი 2014 წლის ოქტომბერში იჩინა, როდესაც ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სადავო შენობაში ბიბლიოთეკის მოწყობის გადაწყვეტილება მიიღო. ვითარება განსაკუთრებით 22 ოქტომბერს დაიძაბა, როდესაც შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მუშები გამოჩნდნენ შენობის დასაშლელად, რაც მუსლიმმა მოქალაქეებმა გააპროტესტეს. სამართალდამცავებმა შენობის გარშემო ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს, რათა მუშებს თავისუფლად ემუშავათ. ამას მუსლიმი მრევლის მღელვარება მოჰყვა. პოლიციამ აქციის დასაშლელად ძალა გამოიყენა[129].

მოხეში არსებული მდგომარეობა შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა. „ადგილობრივი მუსლიმების ახსნა–განმარტებებით დასტურდება, რომ 2014 წლის 22 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყენებული იქნა გადამეტებული ძალა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ. დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმები კი ადასტურებს, რომ დაკავებულ პირებს სხეულზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანებები“, - ვკითხულობთ მოხის მოვლენებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაში[130].

2015 წლის თებერვალში, სოფელ მოხეში გახსნილი პოლიციის ახალი განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა გელა კოხოძე, რომელიც წარმოადგენდა ადიგენის რაიონული

[128] გვ. 19; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf

[129] http://ombudsman.ge/ge/news/sofel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebi-xelisuflebis-mxridan-adekvaturreagirebas-sachiroebs.page

[130] http://ombudsman.ge/ge/news/sofel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebi-xelisuflebis-mxridan-adekvaturreagirebas-sachiroebs.page

სამმართველოს ხელმძღვანელს ჭელას მინარეთის დემონტაჟის დროს[131]. მუსლიმი თემის განცხადებით, იგი გამოირჩევა მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულით. მათი ინფორმაციით, გელა კოხოძე აქტიურობდა ასევე მოხეში 2014 წლის 22 ოქტომბერს მუსლიმების საპროტესტო აქციის დაშლისას, სადაც, სახალხო დამცველის შეფასებით, გამოყენებული იქნა გადამეტებული ძალა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ.

2014 წლის 6-8 ივნისს, სპორტის სასახლეში დაგეგმილი იყო საერთაშორისო საევანგელიზაციო ღონისძიების - „იმედის ფესტივალის“ გამართვა, რომელშიც ადგილობრივი და საერთაშორისო პროტესტანტული რელიგიური გაერთიანებები იღებდნენ მონაწილეობას. სპორტის სასახლის დირექციასთან ფესტივალის ორგანიზატორებმა დიდი ხნით ადრე გააფორმეს ხელშეკრულება და გადაიხადეს მომსახურების თანხა. ფესტივალის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე, სპორტის სასახლის ერთ-ერთი ფლიგელის სახურავზე ხანძარი გაჩნდა, რის შემდეგადაც ადმინისტრაციამ რელიგიურ გაერთიანებებს ფესტივალის ჩატარებაზე უარი უთხრა. ფესტივალის პიარ-მენეჯერის, ლელა ხონელიძის თქმით, მათ სპორტის სასახლის ადმინისტრაციას შესთავაზეს, რომ თავად მოიყვანდნენ სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ სპორტის სასახლეს ემასპინძლა ფესტივალისათვის, თუმცა უშედეგოდ[132].

ლელა ხონელიძე ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფს იმ პრობლემებზეც ესაუბრა, რასაც ფესტივალის ორგანიზატორები სარეკლამო კამპანიის დროს გადააწყდნენ[133].

2015 წლის 13 თებერვალს ადამიანის უფლებებისა და სწავლების მონიტორინგის ცენტრმა (EMC), „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე, სახალხო დამცველს მიმართა განცხადებით, განიხილოს „იმედის საერთაშორისო ფესტივალის“ დაგეგმვისას კერძო პირების - სპორტის სასახლის ადმინისტრაციისა და სარეკლამო კომპანია Outdoor-ის მიერ სახელშეკრულობო ვალდებულებების დროს რელიგიური ნიშნით ჩადენილი სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები[134].

ზეწოლა არასამთავრობო ორგანიზაციებზე

2014 წლის 1 მაისს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, უკანონო მოსმენების წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიაში - „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ - ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები „ქვეყნის იმიჯის შერყევაში“ დაადანაშაულა და მათ საქმიანობას „ძირგამომთხრელი“ უწოდა[135]. კამპანიაში ჩართულმა ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს პრემიერ-მინისტრის აღნიშნული განცხადებების გამო.

„საგანგაშოა პრემიერ-მინისტრის შეფასებები, რომ თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები „ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას“ ვახორციელებთ მაშინ, როდესაც წარდგენილი კანონპროექტის ერთადერთი მიზანი პირადი ცხოვრების უფლების ევროპული სტანდარტების დაცვაა. ქვეყნის მეთაურის რიტორიკა ემსახურება არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციას და მათ მიმართ ნეგატიური აზრის ფორმირებას. პრემიერ-

[131] http://sknews.ge/index.php?newsid=4897#.VOsDlfmUfgg
[132] *იგივე*
[133] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18154&lang=geo
[134] გვ. 30-31; http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf
[135] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18111&lang=geo

მინისტრის ბრალდებები არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებებს და ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოებრივი ინიციტივების მნიშვნელობას და როლს დემოკრატიულ სახელმწიფოში“, - ნათქვამია კამპანიის მიერ გავრცელებულ საპასუხო განცხადებაში[136].

2015 წლის 26 იანვარს, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ნინო ლომჯარიასა და ეკა გიგაურის, ასევე საიას ყოფილი თავმჯდომარის, კახა კოჟორიძის მისამართით მუქარის შემცველი განცხადება გააკეთა. „აი, მთავრობაზე დიდი არასამთავრობოები რომ არიან, უფრო სწორად, პიროვნებები - ლომჯარია, კოჟორიძე და გიგაური. ჩვენ ძალიან საინტერესო კვლევას დავდებთ მათზე. თვითონ მათთან გვაქვს ძალიან ბევრი კითხვები'' - განაცხადა ივანიშვილმა[137].

აღნიშნულ განცხადებას საქართველოში მოქმედმა 51-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ წერილობითი განცხადებით უპასუხა. ორგანიზაციების შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის განცხადებები არა ერთი მოქალაქის, არამედ სახელმწიფოს არაფორმალური მმართველის პოზიციაა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიზანმიმართულად წარმოებული კამპანიის შთაბეჭდილებას ტოვებს[138].

2014 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების (IDFI) ინსტიტუტის დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი. დაკავების მიზეზი გახდა გიორგი კლდიაშვილს კუთვნილი და მასზე ოფიციალურად რეგისტრირებული ცეცხლსასროლი საკოლექციო იარაღის გადატანა ხელოსანთან შსს-ს მომსახურების სააგენტოდან აღებული ნებართვის გარეშე[139].

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, რომელსაც 29 ორგანიზაცია უერთდება, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი კლდიაშვილმა პოლიციელებს თავად აჩვენა იარაღი, საკუთარი ფეხით მივიდა პოლიციაში და დაადასტურა, რომ ნამდვილად ჰქონდა იარაღის შენახვის ნებართვა, პოლიციამ იგი მაინც დააკავა[140].

2014 წლის 17 დეკემბრის სასამართლო პროცესზე, პროკურორმა ვერ დაასაბუთა გიორგი კლდიაშვილის 2 დღით დაკავების საფუძველი. პროკურორმა ასევე ვერ დაასაბუთა მიმალვის საფრთხე. სასამართლო თავის განჩინებაში აღნიშნავს: „სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნათა არსებითი დარღვევა, რაც დაკავებულის გათავისუფლების საფუძველია''. სასამართლომ გიორგი კლდიაშვილი დარბაზიდან გაათავისუფლა 1500-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ[141]. 15 იანვარს, სასამართლოს გადაწყვეტილებით გიორგი კლდიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა. მოსამართლემ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გიორგი კლდიაშვილის მანქანის ჩხრეკის ოქმი, იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა და დაკითხვის ოქმი კანონმდებლობის დარღვევით იყო მოპოვებული[142].

გიორგი კლდიაშვილის ინფორმაციით, დაკავების შემდეგ შსს-ს წარმომადგენლები ესაუბრებოდნენ მისი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, მიანიშნებდნენ კამპანია „ეს შენ

---

[136] http://www.civil.ge/geo/article.php?id=28138
[137] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/40760/
[138] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18111&lang=geo
[139] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18030&lang=geo
[140] *იგივე*
[141] http://idfi.ge/ge/statement-of-idfi-on-latest-developments-regarding-illegal-arrest-of-giorgi-kldiashvili
[142] http://idfi.ge/ge/criminal-proceeding-against-giorgi-kldiashvili-has-been-terminated

გეხება“-ზე, რომელშიც გიორგი კლდიაშვილიც იყო ჩართული და უსვამდნენ შეკითხვებს, თუ რატომ საუბრობდა უკანონო მოსმენების თემაზე[143].

მედიის თავისუფლება

2014 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან ჟურნალისტზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტი. 2014 წლის ივნისში, აჭარის რეგიონში მაუწყებელ „ტელეარხ 25“-ის ეთერში გავიდა ჟურნალისტის, ჯაბა ანანიძის საგამოძიებო ფილმი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიების ხელმძღვანელების უცხო ქვეყნებში მივლინებების დროს გაწეული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. ჯაბა ანანიძის განცხადებით, ფილმის ეთერში გასვლის შემდეგ, მას ტელეფონით დაუკავშირდა აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, მედეა ვასაძე. ჟურნალისტმა გამოაქვეყნა საუბრის ჩანაწერი[144]. ჩანაწერში ისმის მედეა ვასაძის მუქარის ტონის შემცველი განცხადებები: „ახლა მე ვიწყებ შენს წინააღმდეგ მუშაობას, ყველა მაგ ფაქტს წაგიქცევ მე შენ ცოტა ხანში“; „ჯაბა, ცოლი გყავს შენ? ეხლა რა მინდა გითხრა მე შენ. იცი ქალაქში რა ხმები დადის შენზე? საეჭვო მიხვრა-მოხვრა აქვსო ჯაბასო, ორიენტაციას აყენებენ შენსას ეჭვქვეშ“; „აი, მე ხვალ უნდა დავურეკო პროკურორს და უნდა ვუთხრა, რომ შენ, ჯაბა ანანიძე, რო აფურთხებ ცხვირ-პირში რესპუბლიკის პროკურორს და პროკურატურას როგორ არ რცხვენია, აი, ამას ვეტყვი მე ხვალ პროკურორს, რამდენ ხანს უნდა აჯიჯგნინო საკუთარი თავი და მედეა ვასაძე“.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირის აღნიშნული ქმედება შეიცავს ჟურნალისტის საქმიანობაზე ზეწოლის ნიშნებს და წარმოადგენს მედიის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დღემდე არ დამდგარა სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2014 წლის სექტემბერში, ტელეკომპანია „რუსთავი 2’’-ზე მიმდინარე გადაცემა „ანატომიის’’ ავტორმა, ნათია მიქიაშვილმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის ყოფილი უფროსი და პრემიერ-მინისტრის ნათესავი, ზვიად ჯანყარაშვილი მუქარაში დაადანაშაულა. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ იგი ამზადებდა გადაცემას საქართველოში ბიზნესის გადანაწილების შესახებ, რომელშიც ზვიად ჯანყარაშვილი ფიგურირებდა, რის გამოც, ჯანყარაშვილმა მას ჯერ გადაცემის შეჩერება მოსთხოვა, შემდეგ კი დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში „შესაბამისად მოექცეოდა"[145].

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა მთავარ პროკურატურას, ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილის მიმართ განხორციელებული სავარაუდო მუქარის თაობაზე გაეტარებინა სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო ღონისძიებები. თუმცა, გამოძიების შედეგები დღემდე არ არის ცნობილი[146].

2015 წლის 4 მარტს, თბილისში, „ვარდების მოედანზე“ ოპოზიციური პარტიების მიმდინარე აქციის დროს, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტ ირაკლი გედენიძეს, აქციის ერთ-ერთი მონაწილე ფიზიკურად გაუსწორდა და დაუმტვრია

---

[143] *იგივე*

[144] https://www.youtube.com/watch?v=Cx8fMzSNH3E#t=69

[145] http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saqartvelos-saxalxo-damcveli-jurnalist-natia-miqiashvilis-gancxadebis-taobaze.page

[146] გვ. 8; http://ombudsman.ge/uploads/other/2/2148.pdf

ფოტოკამერა[147]. აღნიშნული ფაქტები დაფიქსირებულია სხვადასხვა მასობრივი ინფორმაციის საშულებების მიერ გავრცელებულ ვიდეო-მასალაში. ვიდეო-მასალაში ჩანს, რომ ინციდენტში აქტიურ მონაწილეობას იღებს კიდევ ერთი პიროვნება[148].

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, მხოლოდ ერთი პირი დააკავა[149]. პასუხისგებაში არ მიცემულა ვიდეოკადრებში აღბეჭდილი მეორე პირი, რომელიც ჟურნალისტს აკავებდა და არ აძლევდა თავდაცვისა და განრიდების შესაძლებლობას[150]. ინციდენტში მონაწილე ყველა პირის დადგენისა და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური სანქციების გატარებისაკენ მოუწოდებდა სამართალდამცავ ორგანოებს საქართველოს სახალხო დამცველი[151].

2015 წლის 19 თებერვალს, პარლამენტმა საბოლოო მოსმენით დაამტკიცა ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, სატელევიზიო რეკლამის ლიმიტების საათობრივ რეგულაციას ითვალისწინებს. ცვლილებების თანახმად, მაუწყებელს საათში მხოლოდ 12 წუთი შეუძლია დაუთმოს რეკლამას, რაც ნიშნავს, რომ პრაიმ-ტაიმში, როცა ყველაზე მეტი რეკლამა გადის ეთერში, სარეკლამო დროის ოდენობა იზღუდება[152].

საპარლამენტო ოპოზიციის შეფასებით, აღნიშნული ცვლილებები რეალურად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელიც სატელევიზიო რეკლამიდან მიღებული შემოსავლებით ლიდერი კომპანიაა. შესაბამისად, ლიმიტების შემოღებით ყველაზე მეტად ის იზარალებს[153].

2014 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებით. ცვლილებები 2015 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში[154]. აღნიშნული ცვლილებები მიღებულ იქნა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების შენიშვნების გათვალისწინების გარეშე[155].

„მაუწყებლობის შესახებ'' კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საკითხს, არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლისთვის წარდგენილი რეკლამა სოციალური, კომუნიკაციების ეროვნული კომისია გადაწყვეტს[156]. არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების შეფასებით, აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს მედიის საქმიანობაში, მისი გამოხატვის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას. ორგანიზაციების შეფასებით, მაუწყებლების ვალდებულება, ეთერში განათავსონ სოციალური რეკლამა, სხვა ქვეყნებშიც არსებობს, მაგრამ ეს საკითხი არ ექვემდებარება დეტალურ სამართლებრივ რეგულირებას და მაუწყებლები თავად

---

[147] http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/gancxadeba-jurnalist-irakli-gedenidzisatvis-profesiul-saqmianobashi-xelsheshlis-faqttan-dakavshirebit.page

[148] https://www.youtube.com/watch?v=7rykS-U4eIM

[149] http://www.interpressnews.ge/ge/samartali/319835-irakli-gedenidzis-cemis-saqmeze-erthi-piria-dakavebuli.html?ar=A

[150] http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/gancxadeba-jurnalist-irakli-gedenidzisatvis-profesiul-saqmianobashi-xelsheshlis-faqttan-dakavshirebit.page

[151] http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/gancxadeba-jurnalist-irakli-gedenidzisatvis-profesiul-saqmianobashi-xelsheshlis-faqttan-dakavshirebit.page

[152] http://www.civil.ge/geo/article.php?id=29142

[153] http://www.civil.ge/geo/article.php?id=29142

[154] http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/324320-qmautsyeblobis-shesakhebqkanonshi-akhal-sareklamo-regulaciebthan-dakavshirebith-sainformacio-shekhvedra-da-diskusia-gaimartheba.html?ar=A

[155] http://idfi.ge/ge/statement-on-social-ads

[156] http://www.tabula.ge/ge/story/89299-socialur-reklamastan-dakavshirebit-kanonshi-cvlilebebi-shevida

წყვეტენ, თუ როგორ შეასრულონ მაუწყებლის სოციალური ფუნქცია[157]. პრობლემას წარმოადგენს ასევე ის, რომ ცვლილებების თანახმად, სოციალურ რეკლამად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს სამომავლო საქმიანობის შესახებ. არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების შეფასებით, აღნიშნული დებულება საფრთხეს შეუქმნის საარჩევნო პერიოდში საინფორმაციო საშუალებებზე პოლიტიკური სუბიექტების თანაბარ ხელმისაწვდომობას[158].

2014 წლის 28 ივნისს, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ტელეკომპანია „ტაბულას" თანამშრომელი და მასთან ერთად მყოფი ორი პირი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე (პოლიციის თანამშრომლისადმი დაუმორჩილებლობა). დაკავებულთა ინტერესებს იცავდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომლის შეფასებით, საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ის ქმედებები, რომლის საფუძველზეც პოლიციელთა მხრიდან სამართალდარღვევის ოქმები იქნა შედგენილი[159]. ორგანიზაციის განცხადებით, ერთ-ერთ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს დაკავების შემდგომ, სამედიცინო დოკუმენტის თანახმად, აღენიშნებოდა დაზიანებები. სასამართლო პროცესზე პოლიციის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ დაკავებულს აღნიშნული დაზიანებები დაკავებამდე არ ჰქონდა[160]. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა მთავარ პროკურორს.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

2014 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მშვიდობიანი შეკრების დაშლის ან არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები. თუმცა, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როცა სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველეყოთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო შეხვედრებისა და ღონისძიებების მშვიდობიან და უსაფრთხო ვითარებაში წარმართვა და ძალადობის აღკვეთა[161].

2015 წლის 15 მარტს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ა(ა)იპ „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის" ოფისებზე განხორციელდა თავდასხმა[162], რომლებშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა რანგის სახელმწიფო მოხელეები[163]. მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციის წარმომადგენლები, მათ არ აღუკვეთავთ თავდამსხმელთა დანაშაულებრივი ქმედებები[164].

---

[157] http://idfi.ge/ge/statement-on-social-ads
[158] *იგივე*
[159] https://gyla.ge/geo/news?info=2213
[160] *იგივე*
[161] გვ. 5; http://transparency.ge/en/node/4370
[162] http://www.myvideo.ge/?video_id=2527580
[163] http://www.gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciata-ertoblivi-gancxadeba-moxeleta-mier-ertiani-nacionaluri-modzraobisa-da-tavisuflebisa-da-mxardacheris-centrisofisebze-ganxorcielebuli-tavdasxmasatan-dakavshirebit.page
[164] *იგივე*